სოციალური და ემოციური სწავლა

2022

ctc Empowering People for Change
SKOLA-LAB
სკოლა-ლაბი

კვლევის განხორცილება შესაძლებელი გახდა გერმანული ფონდის „Bread for the world" (BfdW) დაფინანსებით. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC). ის შესაძლოა არ გამოხატავდეს დამფინანსებლის შეხედულებებს.

აღნიშნული ლიცენზია მომხმარებელს აძლევს უფლებას დააკოპიროს, გაავრცელოს მასა- ლა ნებისმიერი საშუალების თუ ფორმატის გამოყენებით მხოლოდ არადაპტირებული, უცვლელი სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მითითებულია მასალის შემქმნელი. ლიცენზია იძლევა მასალის კომერციული გამოყენების უფლებას.

BY – მასალის შემქმნელის მითითება სავალდებულოა

ND – არ დაიშვება მასალის ადაპტაცია თუ ცვლილება

2022 წელი

სარჩევი

დოკუმენტის მიზანი 4
შესავალი - პრობლემის დასაბუთება 4
რატომ სოციალური და ემოციური სწავლა? 6
კვლევების მიმოხილვა 8
  გრძლევადიანი და საყოველთაო შედეგები 9
  სოციალური და ემოციური სწავლის ეკონომიკური სარგებელი 9
  სოციალური და ემოციური სწავლის გავლენა მასწავლებლებზე 10
სოციალური და ემოციური სწავლის კონცეპტუალური ჩარჩოები 11
  სოციალური და ემოციური სწავლა - CASEL ჩარჩო 14
  სოციალური და ემოციური განათლება ევროკავშირის მიერ 18
  OECD-ის სოციალური და ემოციური უნარების ჩარჩო 22
  21-ე საუკუნის სწავლის კონცეპტუალური ჩარჩო 24
  სიღრმისეული სწავლა - 6C 26
სოციალური და ემოციური სწავლის პროგრამები 28
  სწავლის სოციალური და ემოციური ასპექტები (SEAL) 29
  მენტალური ჯანმრთელობის პროგრამა „ბავშვი მნიშვნელოვანია“ 31
  ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა 33
სოციალურ-ემოციური უნარების შეფასება სასწავლო პროცესში 35
სოციალური და ემოციური სწავლის კონცეპტუალური ჩარჩოების შედარებითი ანალიზი 37
სოციალური და ემოციური უნარები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში 43
სოციალურ-ემოციური განათლების ინიციატივების დანერგვის რეკომენდაციები 45
  ტერმინოლოგია 45
  სოციალური და ემოციური სწავლის კომპეტენციები 47
  დანერგვა 47

ცხრილებისა და სურათების სარჩევი

ცხრილი 1. მენტალური ჯანმრთელობის პროგრამების მეტა ანალიზი 7

ცხრილი 10. განსხვავებები კონცეპტუალურ ჩარჩოსა და პროგრამას შორის 11
ცხრილი 3. სოციალური და ემოციური განათლების ჩარჩო (NESET)..... 18
ცხრილი 4. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ძირითადი კომპეტენციები ევროკავშირის მიერ 2006 და 2019 წელს 19
ცხრილი 5. პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენცია 20
ცხრილი 2. წარმატებული სოციალური და ემოციური სწავლების კომპონენტები 21
ცხრილი 8. სოციალური და ემოციური უნარების აღწერა (OECD)..... 23
ცხრილი 9. 21- ე საუკუნის სწავლის ჩარჩოს უნარები 26
ცხრილი 7. Kids Matter სოციალური და ემოციური უნარები დაწყებით საფეხურზე..... 31
ცხრილი 6. Kids Matter პროგრამის დანერგვა 31
ცხრილი 11. პროგრამის „ნაბიჯ-ნაბიჯ“ მოდულები და შესაბამისი უნარები 34
ცხრილი 12. სოციალური და ემოციური უნარების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 36
ცხრილი 13. სოციალური და ემოციური უნარების პირდაპირი შეფასება ვინეტების გამოყენებით..... 37
ცხრილი 14. სოციალური და ემოციური სწავლის მოდელების შედარება..... 39
ცხრილი 15. სოციალური და ემოციური კომპეტენციების აღმნიშვნელი ტერმინები სხვადასხვა მოდელებში 40
ცხრილი 16. ძირითადი კომპეტენციების კავშირი სხვადასხვა მოდელებთან..... 41
ცხრილი 17. რეკომენდებული ტერმინები სოციალური და ემოციური განათლებისთვის..... 46

სურათი 1. 2017 წლის მეტა- ანალიზის შედეგები 9
სურათი 2. სოციალური და ემოციური სწავლის მოდელების ძირითადი სფეროები 12
სურათი 3. CASEL- ის ბორბალი 14
სურათი 5. OECD ინსტრუმენტები 23
სურათი 6. 21-ე საუკუნის სწავლის კონცეპტუალური ჩარჩო 24
სურათი 7. მილერის 6C უნარები..... 27
სურათი 4. სოციალური და ემოციური სწავლის ასპექტების (SEAL) იმპლემენტაცია 29
სურათი 8. სოციალური და ემოციური სწავლის 4 ჩარჩოს შედარება..... 38
სურათი 9. ტერმინოლოგიის ჩარჩო..... 47
სურათი 10. სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის დონეები 48

დოკუმენტის მიზანი

მოცემული დოკუმენტი შემუშავებულია კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) სკოლა ლაბის პროექტის „სკოლების გაძლიერების ინიციატივა“ ფარგლებში. დოკუმენტის მიზანია სასწავლო დანაკარგების აღმოფხვრის კონტექსტში სოციალური და ემოციური უნარების განვითარების ხელშემწყობი ჩარჩოს შემუშავება. აღნიშნული მიზნის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი ნაბიჯები:

- სოციალური და ემოციური სწავლის მნიშვნელობისა და აქტუალობის დასაბუთება როგორც გლობალურ, ასევე ეროვნულ კონტექსტში;
- სასწავლო დანაკარგების კონტექსტში სოციალურ და ემოციურ უნარებთან დაკავშირებული გამოწვევების ანალიზი;
- სოციალური და ემოციური სწავლის შესახებ განხორციელებული კვლევების მიმოხილვა;
- სოციალური და ემოციური სწავლის სხვადასხვა თეორიული ჩარჩოს მიმოხილვა;
- სოციალური და ემოციური სწავლის მიმოხილვა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მარეგულირებელ დოკუმენტებში;

ლიტერატურის მიმოხილვის შემდგომ, დოკუმენტში გაანალიზებულია სოციალური და ემოციური სწავლის აღწერილი ჩარჩოები, ბოლო ნაწილში კი შემოთავაზებულია ანალიზზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციები სოციალური და ემოციური უნარების ხელშეწყობისთვის ზოგადსაგანმანათლებლო კონტექსტში.

შესავალი - პრობლემის დასაბუთება

დღესდღეობით, საქართველოში სასკოლო ასაკის ბავშვები მრავალი სოციალური თუ ემოციური სირთულის წინაშე არიან, რაც არახელსაყრელ პირობებს ქმნის როგორც სწავლისთვის, ასევე ზოგადად, მათი კეთილდღეობისთვის. UNICEF -ის კვლევის მიხედვით,[1] ბიჭების 58 და გოგოების 37% -ს ფიზიკური ძალადობის გამოცდილება ჰქონიათ. ასევე, მაღალია ფსიქოლოგიური ძალადობის მაჩვენებელი - ბიჭები - 51%, გოგოები - 44%. გარდა ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემებისა, ბავშვების დიდ ნაწილს უწევს სიღარიბეში ცხოვრება. 2017 წელს ჩატარებულმა კვლევამ[2] აჩვენა, რომ ღარიბ შინამეურნეობებში ბავშვების 31.6% ცხოვრობს. სიღარიბის ფაქტორს ემატება ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი,[3] რის გამოც სასკოლო ასაკის ბავშვები ხშირად ერთი ან ორივე მშობლისგან განცალკევებით ცხოვრობენ. გარდა ამ გამოწვევებისა, 2020 წლიდან დაწყებულმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა ზიანი მიაყენა ბავშვების სოციალურ და ემოციურ კეთილდღეობას. გარდა იმისა, რომ ბავშვები მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ ეროვნულ სასწავლო გეგმას, პანდემიამ გამოიწვია ბავშვებში ინტერაქციისა და სოციალიზაციის დეფიციტი, რამაც

[1] ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, UNICEF
[2] მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, UNICEF, 2017
[3] GEOSTAT

თავის მხრივ მოსწავლეებსა და სკოლას შორის დეზინტეგრაციას შეუწყო ხელი. ასევე, პანდემიამ ნეგატიურად იმოქმედა ბავშვების თვითეფექტურობასა და დისციპლინაზე.[4]

ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევების საპასუხოდ სკოლებს მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლიათ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 2000 -იანი წლებიდან აქტიურად ინერგება ისეთი სასკოლო პროგრამები, რომელიც მოსწავლეებში სოციალური და ემოციური კომპეტენციებისა და უნარების განვითარებისკენ არის მიმართული. მსგავსი პროგრამები ბავშვებს უვითარებს თვითშემეცნებასა და სოციალურ შემეცნებას, რაც მათ საშუალებას აძლევთ, უკეთ გაუგონ საკუთარ თავსაც და სხვებსაც, განივითარონ თანაგრძნობა, დაამყარონ ჯანსაღი ურთიერთობები, შეძლონ კონფლიქტების პრევენცია და მართვა, ისწავლონ სხვადასხვა სირთულეების გადალახვა.

საქართველოს საგანმანათლებლო საზოგადოებაში სულ უფრო იზრდება კონსესუსი იმის შესახებ, რომ სკოლამ აკადემიურ მომზადებაზე უფრო მეტი უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს, რათა მათ ჰოლისტურ განვითარებას შეუწყოს ხელი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთეულ ურბანულ ცენტრებს, საქართველოს უმეტეს დასახლებებში სკოლა ხშირად ერთადერთი სივრცეა მოსწავლეების სოციალიზაციისა და განვითარებისთვის. ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სკოლებში სოციალური და ემოციური კომპეტენციებისა და უნარების განვითარება. ეს შეიძლება მოხდეს როგორც გაკვეთილებზე, ასევე კლასგარეშე ღონისძიებებზე.

COVID-19 პანდემიამ წარმოქმნა მოულოდნელი სტრესორები ბავშვების, მოზარდებისა და ზრდასრულების ცხოვრებაში. სოციალური იზოლაცია, დისტანციური სწავლა, მედიიდან მომდინარე ნეგატიური ინფორმაცია ვირუსის შედეგებზე, ჩვეული რუტინის ცვლილება თითოეული ბავშვის თუ უფროსის ყოველდღიურობის ნაწილი გახდა.

კვლევები იმის შესახებ, თუ როგორ აისახა პანდემია ბავშვებისა და მოზარდების მენტალურ ჯანმრთელობაზე, სოციალურ-ემოციურ უნარებსა და თუ აკადემიურ მიღწევებზე ჯერ კიდევ განხორციელების პროცესშია. ჩინეთში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ დეპრესიული სიმპტომები ბავშვებში 76%-ით გაიზარდა კარანტინის პერიოდში.[5] აშშ-ი ჩატარებულ კვლევაში მშობლების 14%-მა მიუთითა იმის შესახებ, რომ პანდემიის შემდგომ ბავშვებში გამძაფრდა ქცევითი სირთულეები. იტალიის, ესპანეთის, ჰონგ-კონგისა და აშშ-ს კვლევის შედეგებიც მსგავს სურათს გამოკვეთს. პანდემიამ გამოიწვია შემდეგი სახის ფსიქოლოგიური სირთულეები: ემოციური, ქცევითი, დეპრესიული, ფიზიკური და ვერბალური აგრესიისა და ჰიპერაქტივობის სიმპტომები როგორც სკოლამდელ, ასევე სასკოლო ასაკის ბავშვებში.[6] [7] [8] [9] დაავადებების კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მონაცემებით აშშ-ში 2020 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე პერიოდში მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული

[4] EFA Georgia
[5] Mental Health Status Among Children in Home Confinement During the Coronavirus Disease 2019 Outbreak in Hubei Province, China
[6] Sleep and psychological difficulties in Italian school-age children during COVID-19 lockdown
[7] The interplay between mothers' and children behavioral and psychological factors during COVID-19: An Italian study
[8] A predictable home environment may protect child mental health during the COVID-19 pandemic
[9] Testing the effects of COVID-19 confinement in Spanish children: The role of parents' distress, emotional problems and specific parenting

მომართვები წინა წელთან შედარებით 24%-ით გაიზარდა 5-11 წლამდე ბავშვებში, ხოლო 31%-ით 12-17 წლამდე მოზარდებში. [10]

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ პანდემია საქართველოს კონტექსტში უფრო სტრესულად აისახა დაწყებითი კლასის მოსწავლეებზე ვიდრე მაღალ კლასელებზე, დისტანციური სწავლის პროცესში კი გამოიკვეთა მოსწავლეთა დაბალი დასწრება, დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები გაკვეთილზე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ონლაინ გაკვეთილზე ჩართვის სიძნელე.[11] აღნიშნულ მიგნებებს ადასტურებს განათლების კოალიციის სასწავლო დანაკარგების კვლევა, რომელშიც გამოიკვეთა პანდემიის ნეგატიური შედეგები მოსწავლეთა მოტივაციაზე, დისციპლინაზე, ინტერაქციასა და სოციალიზაციაზე.[12]

როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოს კონტექსტში განხორციელებული შეფასებები ცხადყოფს, რომ ახალი კორონავირუსის პანდემია ნეგატიურად აისახა მოსწავლეთა სასწავლო დანაკარგებზე. გარდა იმისა, რომ მოსწავლეების საგნობრივი ცოდნა და აკადემიური მიღწევები გაუარესდა, ასევე პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მოსწავლეთა სოციალურ უნარებსა და ემოციურ კომპეტენცებს.

რატომ სოციალური და ემოციური სწავლა?

სოციალური და ემოციური სწავლა განათლებისა და ადამიანის პიროვნული განვითარების განუყოფელი ნაწილია. სოციალური და ემოციური სწავლის შედეგად ადამიანი იძენს იმ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელიც ეხმარება ჯანსაღი იდენტობის, ემოციური რეგულაციის, მიზნების მიღწევის, ემპათიის, ჯანსაღი ურთიერთობებისა და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღების უნარების ჩამოყალიბებაში. სოციალური და ემოციური სწავლა ხელს უწყობს საგანმანათლებლო კონტექსტში თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების რეალიზებას, რადგან ეფუძნება თანამშრომლობასა და ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს.

ბოლო ათწლეულებში მრავალი სასკოლო პროგრამა შეიქმნა და დაინერგა, რომელიც მოსწავლეების პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. ამ პროგრამების დიაპაზონი ფართოა და მოიცავს უნარებისა და კომპეტენციების განვითარების, ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების, სასკოლო ატმოსფეროს გაჯანსაღებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. თუმცა, ამ პროგრამების ეფექტურობის შესახებ არსებული მტკიცებულებები განსხვავებულია.

2021 წელს გამოქვეყნდა სკოლის ბაზაზე არსებული მენტალური ჯანმრთელობის ინტერვენციების პროგრამების შედეგების კვლევების მეტა-ანალიზი,[13] რომელშიც

[10] COVID-19 trends among school-aged children: United States, March 1-September 19, 2020
[11] განათლების სექტორის მიმოხილვა COVID-19 პანდემიის პირობებში, 2021
[12] COVID19-ის გავლენა სასკოლო განათლების სისტემაზე: პანდემიით გამოწვეული სასწავლო დანაკარგების შეფასება
[13] Adolescent mental health: A systematic review on the effectiveness of school-based interventions

განვლილი სამი წლის განმავლობაში ჩატარებული 46 კვლევა იყო გაანალიზებული. ცხრილი N1 -ში თავმოყრილია ინფორმაცია ამ ინტერვენციების ეფექტურობის შესახებ არსებულ მტკიცებულებებზე, საიდანაც ჩანს, რომ სეს (სოციალური და ემოციური სწავლა) ინტერვენციების შედეგებზე მნიშვნელოვანი კვლევითი მტკიცებულებები არსებობს.

ცხრილი 1. მენტალური ჯანმრთელობის პროგრამების მეტა ანალიზი

მიდგომა	მიდგომის განმარტება	კვლევების რ.ბა	მტკიცებულებები/ ეფექტურობა
სოციალური და ემოციური სწავლა	მიდგომა გულისხმობს როგორც კურიკულუმით გაწერილ, ასევე კლასგარეშე აქტივობებს, რომლებიც ექსპლიციტურად ფოკუსირებულია მოსწავლეებში სოციალური და ემოციური უნარების განვითარებაზე - ემოციების ამოცნობა და რეგულაცია, კომუნიკაციური და ურთიერთობის უნარები, კონფლიქტის მოგვარება, პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების მიღება.	13	არსებობს ბევრი კვლევა, რომელიც ადასტურებს სეს ინტერვენციების ეფექტურობას
პოზიტიური ფსიქოლოგიის ინტერვენციები	მიდგომა ფოკუსირებულია მოსწავლეების პოზიტიური ემოციების გაძლიერებაზე, ბედნიერებისა და კეთილდღეობის უნარების განვითარებაზე. უმეტეს შემთხვევებში, აღნიშნული მიდგომა ჩაშენებულია სასკოლო კურიკულუმში	4	მცირე რაოდენობის კვლევები, რომლებიც აჩვენებს მცირე ეფექტს
Mindfulness[14] ინტერვენციები	აღნიშნული მიდგომა საფუძველს იღებს აღმოსავლურ ტრადიციებიდან და ბუდისტური ფსიქოლოგიიდან და ფოკუსირებულია აწმყოს გაცნობიერებაზე. ამ მიდგომის პრაქტიკები ხშირად ინტეგრირებულია ფიზიკურ ვარჯიშთან (იოგა), სუნთქვით ვარჯიშებთან, სხეულის, ფიქრებისა და შეგრძნებების გაცნობიერებასთან.	12	მტკიცებულებები ცოტაა, არსებობს მეთოდოლოგიური გამოწვევები. ეფექტურია კოგნიტური უნარების, კერძოდ ყურადღების განვითარებისთვის
ახალგაზრდების პოზიტიური განვითარების ინტერვენციები	ინტერვენციებში ერთიანდება ისეთი მიდგომები, როგორიცაა პირადი მენტორინგი, ახალგაზრდების სპორტში ჩართვა, გასართობი აქტივობები და ლიდერობის პროგრამები.	5	არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები
ფსიქიკური ჯანმრთელობის წიგნიერების ინტერვენციები	ინტერვენციებში ერთიანება ფსიქიკური განათლების პროგრამები, სადაც მოსწავლეები სწავლობენ, თუ როგორ გაიუმჯობესონ და შეინარჩუნონ ფსიქიკური ჯანმრთელობა, დაძლიონ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სტიგმები, სად და როგორ მიიღონ დახმარება.	10	არსებობს ამ პროგრამების ეფექტურობის ბევრი მტკიცებულება.

[14] Mindfullness - ცნობიერ მდგომარეობაში ყოფნა, ადამიანის უნარი კონცენტრაცია მოახდინოს აწმყოში არსებულ ფიქრებსა და შეგრძნებებზე (ოქფორდის ლექსიკონი)

სხვა მიდგომები		2	

კვლევების მიმოხილვა

რა შედეგები აქვს მოსწავლეებზე სოციალური და ემოციური სწავლის პროგრამებს? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ბოლო ათწლეულებში მრავალი კვლევა ჩატარდა, რომლებმაც აჩვენეს სოციალური და ემოციური უნარების დადებითი ეფექტი მენტალურ ჯანმრთელობაზე,[15] [16] აკადემიურ მოსწრებაზე,[17] [18] ქცევით სირთულეებსა[19] და მომავალში დასაქმების შესაძლებლობებზე.[20] გარდა ცალკეული კვლევებისა, ბოლო ათწლეულში განხორციელდა ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების ოთხი მეტა-ანალიზი,[21] [22] [23] [24] რომლებმაც დაადასტურეს სოციალური და ემოციური სწავლების პროგრამების დადებითი ეფექტები ყველა საფეხურის მოსწავლეებში შემდეგი მიმართულებებით:

1. გაუმჯობესდა მოსწავლეების **სოციალური და ემოციური უნარები** - მიზნის დასახვა, თვითრეგულაცია, პრობლემებისა და კონფლიქტების გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება;
2. გაუმჯობესდა მოსწავლეების **დამოკიდებულებები** საკუთარი თავის, სკოლის, მასწავლებლების, თანატოლებისა და მნიშვნელოვანი სოციალური საკითხების მიმართ, გაუმჯობესდა მათი კავშირი და მიკუთვნებულობის განცდა სკოლასთან.
3. გაუმჯობესდა მოსწავლეების **პოზიტიური სოციალური ქცევები -** სხვების პატივისცემა და დახმარება, ემპათია, თანამშრომლობა;
4. შემცირდა **ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები** - ვერბალური და ფიზიკური აგრესია, ჩაგვრა;
5. გაუმჯობესდა **მოსწავლეების ემოციური მდგომარეობა** - შემცირდა დეპრესიის, შფოთვის, სტრესის მაჩვენებლები;
6. გაუმჯობესდა მოსწავლეების **აკადემიური მოსწრება** - ნიშნები და ქულები სხვადასხვა ტესტებში.

[15] Emotional symptoms from kindergarten to middle childhood: associations with self- and other-oriented social skills
[16] Emotion regulation and childhood aggression: longitudinal associations
[17] The Role of Noncognitive Skills in Explaining Cognitive Test Scores
[18] The Positive Impact of Social and Emotional Learning for Kindergarten to Eighth-Grade Students
[19] Aggregating indices of risk and protection for adolescent behavior problems: the Communities That Care Youth Survey
[20] Psychosocial Support and Social and Emotional Learning for Children and Youth in Emergency Settings
[21] The Impact of Enhancing Students' Social and Emotional Learning: A Meta – Analysis of School Based Universal Interventions
[22] Effectiveness of school-based universal social, emotional, and behavioral programs: Do they enhance students' development in the area of skill, behavior, and adjustment?
[23] Promoting Positive Youth Development Through School-Based Social and Emotional Learning Interventions: A Meta-Analysis of Follow-Up Effects
[24] The impact of trial stage, developer involvement and international transferability on universal social and emotional learning programme outcomes: A meta-analysis

გრძლევადიანი და საყოველთაო შედეგები

სოციალური და ემოციური უნარების განვითარებაზე მიმართული პროგრამების ანალიზი აჩვენებს ამ პროგრამების შედეგების მდგრადობასა და ეფექტურობას სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში. 2017 წელს ჩატარებული მეტა-ანალიზმა,[25] სადაც 82 სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევა იყო გაანალიზებული, აჩვენა, რომ ინტერვენციის შემდგომ პერიოდში,[26] კვლევების მონაწილეების სოციალური და ემოციური უნარები, დამოკიდებულებები, კეთილდღეობის პოზიტიური და ნეგატიური ინდიკატორები გაუმჯობესდა (იხ. სურათი №1). ინტერვენციები თანაბრად ეფექტური იყო სხვადასხვა ლოკაციის, ეთნოსისა და სოციალურ-ეკონომიური წარმომავლობის მონაწილეებისთვის.

სურათი 1. 2017 წლის მეტა- ანალიზის შედეგები

მეტა-ანალიზმა აჩვენა სოციალური და ემოციური სწავლების დადებითი გრძელვადიანი შედეგები 6 მიმართულებით:

1) **ურთიერთობები:** ოჯახური კავშირები, თანატოლებთან ურთიერთობა;

2) **სასკოლო შედეგები:** სკოლასა და უმაღლეს/პროფესიულ სასწავლებელში დასწრება, საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა, დამთავრება;

3) **სექსუალობა:** უსაფრთხო სექსუალური ქცევები, სექსუალური ჯანმრთელობა, ორსულობა და შობადობა;

4) **შემოსავალი/დასაქმება:** შემოსავალი, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი;

5) **კრიმინალი:** დაპატიმრებები, არასრულწლოვანთან მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრა;

6) **ფსიქიკური ჯანმრთელობა:** ნივთიერებებზე დამოკიდებულება, დიაგნოზი, კლინიკური დარღვევები, ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებების მიღება.

სოციალური და ემოციური სწავლის ეკონომიკური სარგებელი

მიუხედავად იმისა, რომ სეს -ის ზოგიერთი შედეგის დათვლა მეთოდოლოგიურად რთულია (მაგ. გაუმჯობესებული დამოკიდებულებები), ფართოდაა ნაკვლევი

[25] Promoting Positive Youth Development Through School-Based Social and Emotional Learning Interventions: A Meta-Analysis of Follow-Up Effects

[26] კვლევების პოსტინტერვენციული დიაპაზონი მერყეობდა 6 თვიდან 18 წლამდე.

სოციალური და ემოციური სწავლის ეკონომიკური სარგებელი[27] ისეთ შედეგებთან მიმართებით, როგორიცაა გაუმჯობესებული აკადემიური მოსწრება ანდა ყოფა-ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირება.

2015 წელს ჩატარებულ კვლევაში, რომელშიც გაანალიზებული იყო 6 სხვადასხვა სოციალურ-ემოციური სწავლების ინტერვენციის ეკონომიკური სარგებელი, გამოვლინდა, რომ ექვსივე პროგრამის სარგებელი მნიშვნელოვნად აღემატებოდა მათ ხარჯებს. გაერთიანებული მონაცემები აჩვენებს, რომ ხარჯი-სარგებლის თანაფარდობა იყო 1:11 -თან, რაც ნიშნავს, რომ ყოველ დახარჯულ ერთ დოლარზე სარგებელი იყო 11 დოლარი. კვლევის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ სარგებლიანობის დათვლის მეთოდოლოგიური სიმკაცრის გათვალისწინებით, რეალური სარგებელი ამ პროგრამებიდან უფრო მეტია.

სოციალური და ემოციური სწავლის გავლენა მასწავლებლებზე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონტექსტში სოციალური და ემოციური სწავლის ინტერვენციები წარმოადგენს პოლიტიკისა და პრაქტიკის ერთობლიობას, რომელიც მიმართულია მასწავლებლების პიროვნულ განვითარებაზე, მათი ინტერპერსონალური ურთიერთობების გაძლიერებაზე, სამუშაოს ეფექტურობისა და ეთიკურობის გაზრდისაკენ.[28]

მასწავლებლების სოციალური და ემოციური კომპეტენციები და კეთილდღეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კლასში არსებულ გარემოს, სასწავლო პროცესს და მათ შორის სეს -ის ეფექტურობას.[29]

მასწავლებლებისთვის არსებული სოციალური და ემოციური სწავლის პროგრამები განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც შინაარსით, ასევე ფორმით. არსებობს როგორც უნივერსალური, ასევე მიზნობრივი, საჭიროებებზე მორგებული პროგრამები. ზოგიერთი პროგრამა სეს -ის ერთ ან რამდენიმე კომპონენტს მოიცავს, სხვები კი ყველა თემას ფარავს. რაც შეეხება ფორმას, არსებობს 2 -საათიანი სესიების პრაქტიკაც და 50 -საათიანი პროგრამების გამოცდილებაც.[30]

ერთ-ერთი პროგრამა, რომელიც მასწავლებლების სოციალური და ემოციური კომპეტენციებისა და კეთილდღეობის გაზრდაზეა ორიენტირებული, არის CARE (Cultivating Awareness and Resilience in Education).[31] პროგრამა ორნაირი ფორმატით მიმდინარეობს: 1) 4-დღიანი ინტენსიური პროგრამა; 2) რამდენიმე თვეზე

[27] საგანმანათლებლო ინტერვენციების ეკონომიკური სარგებლის დათვლის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია ე.წ. ჩრდილოვანი ფასების დადგენა, რაც ინტერვენციების შედეგების მონეტიზაციას გულისხმობს. კერძოდ, საზოგადოების მიერ დგინდება ამა თუ იმ სპეციფიკური შედეგის ფულადი ღირებულება. ჩრდილოვან ფასს აკლდება ინტერვენციის ღირებულება და ამგვარად დგება ეკონომიკური სარგებლიანობის ამსახველი რიცხვი. (Cost-effectiveness analysis: Methods and applications)
[28] Social and Emotional Learning- Research and Practice
[29] Educators' Social and Emotional Skills Vital to Learning
[30] Impacts of Social and Emotional Learning Interventions for Teachers on Teachers' Outcomes: A Systematic Review With Meta-Analysis
[31] Cultivating Awareness and Resilience in Education (CARE)

გადანაწილებული სესიები და სესიებს შორის დისტანციური მხარდაჭერა მასწავლებლებისთვის. არსებობს კიდევ ერთი პროგრამა, smartEDUCATION, რომელიც 8X 2-საათიანი შეხვედრისგან, 4 -საათიანი სიჩუმის პრაქტიკისგან (silent retreat) და საშინაო დავალებებისგან შედგება. ორივე ამ პროგრამის ეფექტურობა კვლევებით დასტურდება.[32]

სოციალური და ემოციური სწავლის კონცეპტუალური ჩარჩოები

სოციალური და ემოციური სწავლა მრავალი ტერმინით მოიხსენიება სხვადასხვა ქვეყანაში. ინგლისში გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: სოციალური, ემოციური და ეთიკური სწავლა, სოციალურ-ემოციური განათლება და სწავლის სოციალურ და ემოციური ასპექტები. კანადაში პოპულარულია სოციალური პასუხიმგებლობის კონცეფცია, რომელიც სოციალური და ემოციური უნარების განვითარებას მოიაზრებს.[33] სოციალურ-ემოციურ უნარებთან დაკავშირებით ლიტერატურაში მრავალი სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება და ერთი შეხედვით იქმნება წარმოდგენა, რომ ისინი ერთმანეთისგან სრულიად იზოლირებულ, დამოუკიდებულ და ავთენტურ კონცეფციებს წარმოადგენენ. მიუხედავად ტერმინთა მრავალფეროვნებისა, არააკადემიურ უნარებზე ფოკუსირებული მიდგომებს შორის მრავალი კავშირია, ზოგჯერ კი მათ ერთი თეორიული საფუძველი აქვთ.

ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ციფრული პლატფორმის მიხედვით, მსოფლიოში სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სოციალური და ემოციური განვითარების მიზნით შექმნილი 40 -მდე კონცეპტუალური ჩარჩო არსებობს.[34] ცხადია, მათი ჩამონათვალი იმდენად სრულყოფილი არ არის, რომ ყველა შესაძლო მიდგომასა და კონცეფციას ასახავდეს, სწორედ ამიტომ პროექტი ჯერ კიდევ მიმდინარეობის პროცესშია და გარკვეული პერიოდულობით ემატება გავრცელებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სოციალურ-ემოციური სწავლის ჩარჩოები.

სოციალური და ემოციური სწავლების ჩარჩო უმეტესწილად თეორიული სახისაა და ქვეყანას, სკოლას, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ორგანიზაციებს სთავაზობს სოციალური და ემოციური უნარების გარკვეულ ტაქსონომიასა და იმპლემენტაციის სტრატეგიებს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში კონცეპტუალურ ჩარჩოსთან ერთად შემუშავებულია დანერგვის კონრეტული ინსტრუმენტები, რომელიც პროგრამის/პროგრამების სახელწოდებითაა მოხსენიებული.

ცხრილი 2. განსხვავებები კონცეპტუალურ ჩარჩოსა და პროგრამას შორის

[32] Social and Emotional Learning and Teachers
[33] New International SEL Report Social and Emotional Education: An International Analysis
[34] Explore SEL, Harvard University

კონცეპტუალური ჩარჩო	პროგრამა
გარკვეულ თეორიულ მოდელზე დაყრდნობით შემუშავებული კონცეფცია, რომელიც ასახავს მიდგომის არსს, მიზნებსა და კომპონენტებს. სოციალური და ემოციური სწავლების კონცეპტუალურ ჩარჩოებში ძირითადად შემოთავაზებულია უნარებისა და კომპეტენციების ჩამონათვალი, განხორციელებული კვლევებით მოპოვებული მტკიცებულებები და პოლიტიკის ინსტრუმენტები.	კონცეპტუალურ ჩარჩოზე დაყრდნობით შემუშავებული კონკრეტული პროგრამა, მხარდამჭერი ინსტრუმენტებით. მაგალითად, გაკვეთილის სცენარები, მოსწავლეებისთვის შესათავაზებული აქტივობები, მასალები და რესურსები. სოციალური და ემოციური უნარების შეფასების ფორმალური და არაფორმალური ინსტრუმენტები (კითხვარები, დაკვირვების ბლანკები, ანკეტირება და ა.შ.)

სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ჩარჩოები შემდეგი ტერმინებით არის მოხსენიებული აკადემიურ წყაროებში: პიროვნული განვითარება, 21-ე საუკუნის უნარები, სიღრმისეული სწავლა, ცხოვრების უნარები, მოქალაქეობრივი წიგნიერების განვითარება და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ტერმინით აღწერილ კონცეპტუალურ ჩარჩოებს შორის არსებობს განსხვავებები პროგრამების შინაარსის, განხორციელების, მოპოვებული მტკიცებულებებისა და სხვა დეტალების მიხედვით, მათ აერთიანებთ ფოკუსი შემდეგ სფეროებზე: კოგნიტური, ემოციური, სოციალური, ღირებულებები, იდენტობა და პერსპექტივა.[35] აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მოდელში მეტი აქცენტი შესაძლოა ემოციურ და სოციალურ უნარებზე იყოს, ზოგიერთში კი - კოგნიტურზე.

მოდელებისა და კონცეპტუალური ჩარჩოს აღწერამდე, მნიშვნელოვანია, განვმარტოთ სოციალური და ემოციური სწავლის ძირითადი საორიენტაციო სფეროები, შემდგომში კი განვიხილოთ თითოეულის როლი და მნიშვნელობა.

სურათი 2. სოციალური და ემოციური სწავლის მოდელების ძირითადი სფეროები



კოგნიტური სფერო მოიცავს ბაზისურ შემეცნებით უნარებს, რომელიც საჭიროა მიზანმიმართული და გააზრებული ქცევების განსახორციელებლად. კოგნიტურ ოპერაციებში ერთიანდება ყურადღების ფოკუსირება და კონცენტრაცია, დამახსოვრება, გადამუშავება, ამოცანების პრიორიტეტულობის განსაზღვრა, იმპულსების კონტროლი, მიზნების დაგეგმვა და დასახვა, გადაწყვეტილებების მიღებისთვის სათანადო ინფორმაციის გამოყენება.

სპეციფიკური უნარები: ყურადღების კონტროლი, მუშა მეხსიერება და დაგეგმვა, მოქმედებების კონტროლი, კოგნიტური რეფლექსიურობა და კრიტიკული აზროვნება.

[35] Explore SEL, Harvard University

ემოციური სფერო მოიცავს უნარებს, რომელიც გვჭირდება ერთი მხრივ საკუთარი ემოციების ამოცნობაში, გამოხატვასა და კონტროლში, ხოლო მეორე მხრივ სხვა ადამიანების ემოციების გაგებასა და ემპათიაში. ემოციური სფეროს უნარები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკუთარი ქცევისა და ემოციების მენეჯმენტისთვის, არამედ გარშემომყოფებთან ინტერაქციისა და პროსოციალური ქცევების ჩამოყალიბებისთვის.

სპეციფიკური უნარები: ემოციების ცოდნა და გამოხატვა, ემოციური და ქცევითი რეგულაცია, ემპათია და სხვისი პერსპექტივის გათვალისწინება.

სოციალური სფერო გულისხმობს იმ უნარების ერთობლიობას, რომელიც საჭიროა სოციალურ სიტუაციებში ეფექტიანი ნავიგაციისთვის, პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის თანატოლებთან და უფროსებთან. სოციალური უნარები საჭიროა იმისთვის, რომ ადამიანმა შეძლოს თანამშრომლობა, გუნდურად მუშაობა, სოციალური პრობლემების გადაჭრა და საზოგადოებაში მშვიდად თანაცხოვრება.

სპეციფიკური უნარები: სოციალური წესებისა და შეთანხმებების გააზრება, კონფლიქტის გადაჭრა, პრობლემების მოგვარება, პროსოციალური და თანამშრომლობითი ქცევების ჩამოყალიბება.

ღირებულებების სფერო მოიცავს უნარებს, მახასიათებლებსა და ჩვევებს, რომელიც საჭიროა გარკვეული ჯგუფის, თემის, საზოგადოების პროსოციალურ და პროდუქტულ წევრად ჩამოყალიბებისთვის. ღირებულებითი უნარები საჭიროა იმისთვის, რომ ადამიანი ჩამოყალიბდეს მაღალი ეთიკური პრინციპების მქონე მეგობარი, ოჯახის წევრი და მოქალაქე.

სპეციფიკური უნარები: ეთიკური ღირებულებები, ინტელექტუალური ღირებულებები და სამოქალაქო ღირებულებები.

პერსპექტივა გულისხმობს თუ როგორი ხედვა და მიდგომა აქვს ინდივიდს სამყაროს მიმართ. პერსპექტივა გავლენას ახდენს როგორ აღვიქვამთ საკუთარ თავს, სხვებს, ყოველდღიურ გამოწვევებსა და დაბრკოლებებს. პოზიტიური პერსპექტივა გვეხმარება ნეგატიური ემოციებისა და წარუმატებლობის გამკლავებაში, ამოცანის შესრულებასა და სხვა ადამიანებთან მიკუთვნებულობის შენარჩუნებაში.

სპეციფიკური უნარები: ოპტიმიზმი, მადლიერება, ღიაობა, ენთუზიაზმი.

იდენტობის სფეროში წარმოდგენილია უნარები, რომელიც ადამიანს ეხმარება საკუთარი თავის, შესაძლებლობების, ძლიერი მხარეებისა და ლიმიტების გააზრებაში. იდენტობა მოიცავს ცოდნას და წარმოდგენებს საკუთარი თავის შესახებ. იდენტობის ნაწილია თავდაჯერებულობა, თვითეფექტურობის განცდა, რაც ქმნის დაბრკოლებებთან გამკლავების მყარ საფუძველს.

სპეციფიკური უნარები: თვითაღქმა, თვითცნობიერება, თვითეფექტურობა, თავდაჯერებულობა, თვითკმარობა და მიზნის ქონის განცდა.

სოციალური და ემოციური სწავლა - CASEL ჩარჩო

აკადემიური, სოციალური და ემოციური სწავლების კოლაბორაცია - CASEL (The Collaborative for Academic, Social, and Emotional Learning) 1994 წელს დაარსდა მაღალი ხარისხის მტკიცებულებებზე დაფუძნებული სოციალური და ემოციური სწავლების (SEL) განათლების სისტემაში ინტეგრაციის მიზნით, ადრეულიდან უმაღლეს განათლების სასწავლებლებამდე. დღესდღეობით, CASEL წარმოადგენს ცენტრალურ პლატფორმას, სადაც იქმნება და ფართოვდება ცოდნა SEL -ის შესახებ. CASEL -ის მთავარი სამუშაო მიმართულებებია კვლევა, რესურსების შემუშავება და პოლიტიკის წარმოება.[36]

CASEL -ის (2013) მიხედვით, სოციალური და ემოციური სწავლის მიზანია ბავშვებში სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვებთან მხარდამჭერი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც სწავლის პროცესს ხდის საინტერესოს, მიმზიდველს და შინაარსიანს. როდესაც ხანგრძლივად, თანმიმდევრულად და აღმზრელობით პროცესში ინტეგრირებულად მიმდინარეობს SEL -ის პროგრამირება, მრავალი ქცევითი სირთულის (მავნე ნივთიერებების მოხმარება, ძალადობა, ბულინგი) პრევენცია ხდება და მტკიცე საფუძველი იყრება იმისათვის, რომ ბავშვებმა შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება სოციალურად მისაღებ ფორმებში. სკოლამდელი აღზრდის დროს, SEL - ის ეფექტიანი დანერგვა ხდება მხოლოდ იმ პირობებსა და გარემოებებში, როდესაც ბავშვი, მშობლები და ადგილობრივი თემი ჩართულია პროგრამის დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში.

CASEL -ის მიერ დადგენილია SEL -ის სამიზნე ხუთი ურთიერთდაკავშირებული კომპეტენციათა კლასტერი, რომლებიც კოგნიტურ, ემოციურ და ქცევით სფეროებს მიემართება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კომპეტენციების განვითარება შესაძლებელია სხვადასხვა ასაკში, დაწყებული ბავშვობიდან დამთავრებული ზრდასრულობამდე, სხვადასხვა მრავალფეროვან კულტურულ კონტექსტში.[37]

სურათი 3. CASEL- ის ბორბალი

[36] Casel.org
[37] Casel SEL Framework



თვითცნობიერება - უნარი, ზუსტად ამოიცნო საკუთარი ემოციები, ფიქრები და მათი გავლენა ქცევაზე, რაც მოიცავს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას და თავდაჯერებულობისა და ოპტიმიზმის მყარ განცდას. თვითშცნობიერების კომპეტენციაში ერთიანდება:

- პერსონალური და სოციალური იდენტობის ინტეგრირება;
- პიროვნული, კულტურული და ლინგვისტური იდენტობის ჩამოყალიბება;
- საკუთარი ემოციების აღქმა;
- შეგრძნებებს, ფიქრებსა და დამოკიდებულებებს შორის კავშირების დამყარება;
- თვითეფექტიანობის განცდა;
- ცრურწმენების, წინასწარ განწყობების კრიტიკულად განსჯა;
- ინტერესის გაღვივება და მიზნის ქონის განცდა;
- არაფიქსირებული გონებრივი წარმოდგენების ქონა.

თვითრეგულაცია- საკუთარი ემოციების, ფიქრებისა და ქცევების რეგულირება განსხვავებულ სიტუაციებში, რაც მოიცავს სტრესის მართვას, იმპულსების კონტროლს, თვითმოტივირებას, მიზნების დასახვასა და მიზნების მიღწევაზე მუშაობას. თვითრეგულაცია მოიცავს შემდეგ უნარებს:

- საკუთარი ემოციების მართვა;
- სტრესთან გამკლავების სტრატეგიების გამოყენება;
- პიროვნული და ჯგუფური მიზნების დასახვა;
- დაგეგმვისა და ორგანიზების უნარების გამომუშავება;
- გამბედაობის, ინიციატივის გამოვლენა.

სოციალური ცნობიერება- სხვისი, მათ შორის განსხვავებული კულტურისა და მსოფლმხედველობის ინდივიდების პერსპექტივების და განცდების გაზიარება, ქცევის სოციალური და ეთიკური ნორმების გააზრება, ოჯახში, სკოლასა და საზოგადოებაში არსებული მხარდამჭერი მექანიზმებისა და რესურსების ცოდნა.

- სხვისი პერსპექტივის გათვალისწინება;

- სხვა ადამიანის ძლიერი მხარეების შეფასება;
- ემპათიისა და თანაგრძნობის გამოვლენა;
- მადლიერების განცდა და გამოხატვა;
- მრავალფეროვანი სოციალური ნორმების გაგება და იდენტიფიცირება;
- სიტუაციის შეფასება მოთხოვნებისა და შესაძლებლობების მიხედვით;
- ადამიანების, ორგანიზაციის ან სისტემის ზეგავლენის გაგება ჩვენც ქცევაზე.

ურთიერთობის უნარები- მრავალფეროვანი და ჯანსაღი ურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნების უნარი განსხვავებულ ინდივიდებთან და ჯგუფებთან, რაც მოიცავს აქტიურ მოსმენას, თანამშრომლობას, სოციალური წნეხის გაძლებას, კონფლიქტის კონსტრუქციულად გადაჭრას და საჭიროების შემთხვევაში დახმარების შეთავაზებას.

- კომუნიკაციის ეფექტურად დამყარება;
- პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- გუნდური მუშაობა და პრობლემის ერთობლივად გადაჭრის უნარების გამომუშავება;
- კონფლიქტის კონსტრუქციულად გადაჭრა;
- ნეგატიური სოციალური წნეხისადმი გამძლეობა;
- ლიდერული უნარების გამომუშავება;
- ადამიანების, ჯგუფის მხარდაჭერა;
- ადამიანის უფლებების აღიარება და დაცვა.

პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მიღება- საკუთარ ქმედებებზე და ურთიერთობებზე კონსტრუქციული გადაწყვეტილებების მიღება ეთიკური სტანდარტების, უსაფრთხოების ზომების, სოციალური ნორმების, ქმედებების შედეგების რეალისტურად შეფასების გათვალისწინებით. საკუთარი და სხვების კეთილდღეობის სასარგებლო არჩევანების გაკეთება.

- სიახლეებისადმი ღიაობა;
- პიროვნული და სოციალური პრობლემების გადაჭრის გზების იდენტიფიცირება;
- ინფორმაციის, მონაცემებისა და ფაქტების ანალიზის გზით დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება;
- ინდივიდის მოქმედებების, ქცევისა და გაზრახვების სავარაუდო შედეგების შეფასება;
- კრიტიკული აზროვნების როლის გაგება სკოლასა და სკოლის გარეთ;
- თითოეული ინდივიდის როლის შეფასება პიროვნების, ოჯახისა და თემის კეთილდღეობის მხარდაჭერაში.

დანერგვის მექანიზმები და სივრცეები

CASEL იყენებს სისტემურ მიდგომას, რაც გულისხმობს მოსწავლეების სოციალური, ემოციური და აკადემიური უნარების განვითარებას როგორც სასკოლო, ასევე ოჯახურ და საზოგადოებრივ გარემოში. აღნიშნული მიდგომით, მხოლოდ სკოლის თემის, ოჯახისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობითაა შესაძლებელი მოსწავლეებში სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება.

კოორდინირებული საქმიანობის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსწავლეების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მხარდამჭერი საკლასო და სასკოლო კლიმატის შექმნა, მასწავლებლებისა და მშობლების სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება და მჭიდრო პარტნიორობის დამყარება სკოლებსა და ოჯახებს შორის. კასელი გამოყოფს 4 ძირითად სივრცეს, სადაც უნდა განხორციელდეს სოციალური და ემოციური სწავლა.

საკლასო ოთახი. სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება საგაკვეთილო პროცესის დროს მრავალი გზითაა შესაძლებელი - ა) გაკვეთილები ორიენტირებულია რომ დაასწავლოს მოსწავლეებს სოციალური და ემოციური უნარები ასაკის, კონტექსტისა და კულტურის შესაბამისად, ბ) სწავლა-სწავლება მოიცავს თანამშრომლობით მიდგომებს (პროექტებზე დაფუძნებული სწავლა, წყვილებში მუშაობა და ა.შ.) გ) სოციალური და ემოციური საკითხები ინტეგრირებულია სხვადასხვა საგნებში.

სოციალური და ემოციური სწავლა ყველაზე ეფექტურად მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს პოზიტიური და მზრუნველი ურთიერთობები აქვთ. აუცილებელია, რომ მასწავლებლები კარგად იცნობდნენ მათი მოსწავლეების საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს, რათა ხელი შეუწყონ ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლეები სასწავლო პროცესში პარტნიორები არიან, დაფასებულია მათი მოსაზრებები და სურვილები.

სკოლა. სოციალური და ემოციური სწავლის ეფექტურობა დამოკიდებულიცაა სასკოლო კლიმატზე და განაპირობებს კიდევაც მას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის გარემო მოიცავს როგორც საკლასო ოთახებს, ასევე დერეფნებს, ეზოს, საპირფარეშოს და ზოგიერთ შემთხვევაში სამგზავრო საშუალებებსაც, მნიშვნელოვანია სკოლის მთელი პერსონალისა და მოსწავლეების მონაწილეობა ჯანსაღი სასკოლო კლიმატის შექმნაში. ასეთ სკოლაში მოსწავლეებს აქვთ სკოლასთან მიკუთვნებულობის ძლიერი განცდა. CASEL-ის ჩარჩო ასევე იძლევა შესაძლებლობას, რომ სოციალური და ემოციური სწავლის პრაქტიკები ინტეგრირდეს სკოლაში არსებულ მოსწავლეთა მხარდამჭერ სისტემებთან, რათა სოციალური და ემოციური სწავლა მოსწავლეების სასკოლო ცხოვრების ყველა კომპონენტში იყოს წარმოდგენილი და მოხდეს მათი ჰოლისტური მხარდაჭერა.

ოჯახი. სკოლებისა და ოჯახების მჭიდრო თანამშრომლობა აძლიერებს მოსწავლეების სოციალურ და ემოციურ განვითარებას. მშობლები ბავშვების პირველი მასწავლებლები არიან, ამიტომ ისინი ფლობენ მნიშვნელოვან ცოდნას მათი შვილების განვითარების მახასიათებლებისა და საჭიროებების შესახებ. ეს ცოდნები მნიშვნელოვანია სოციალური და ემოციური სწავლის დასაგეგმად და მდგრადი შედეგების მისაღწევად. წარმატებული სოციალური და ემოციური სწავლის პროგრამები სცდება სკოლის ფარგლებს და მოიცავს მშობლების, საზოგადოების, თემის ჩართულობას.

თემი. თემი სოციალური და ემოციური სწავლის დანერგვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა. კვლევები აჩვენებს, რომ თემში არსებული სოციალური და ემოციური

კომპეტენციების ხელშემწყობი სერვისები მოსწავლეებს ეხმარება ათვისებული უნარების გამყარებაში. თემის ბაზაზე შესაძლოა არსებობდეს სკოლის გარეთ არსებული დამატებითი სერვისები.

სოციალური და ემოციური განათლება ევროკავშირის მიერ

განათლებისა და ტრენინგების სოციალური ასპექტების ევროპული კომისიის ქსელის (NESET) მიერ შემუშავდა სოციალური და ემოციური სწავლის კონცეპტუალური ჩარჩო ევროკავშირთან (EU) პარტნიორობით. შემუშავებული კონცეფცია ინერგება და გავრცელებულია ევროკავშირის ქვეყნებში, ამავდროულად მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ კონტექსტთან შესაბამისი რესურსების შემუშავება.

სოციალური და ემოციური განათლების სფეროში არსებული კვლევების მეტაანალიზის შედეგებისა და Cefai -სა და Cavioni -ს მიერ 2014 წელს გამოქვეყნებულ წიგნში[38] წარმოდგენილი მიდგომის სინთეზით, NESET -მა[39] 2018 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში[40] წარმოადგინა სოციალური და ემოციური განათლების თეორიული ჩარჩო, რომელიც კომპეტენციების ორი მსხვილი კატეგორიისგან შედგება - ინტრაპერსონალური (შიდა) და ინტერპერსონალური (გარე) კომპეტენციები.

ცხრილი 3. სოციალური და ემოციური განათლების ჩარჩო (NESET)

	მე (ინტრაპერსონალური)	სხვები (ინტერპერსონალური)	
გაცნობიერება	მე ვარ... გათვიცნობიერებული **თავდაჯერებულობა**	მე ვზრუნავ... მზრუნველი **ემპათია**	Cefai, Cavioni
	თვითცნობიერება	სოციალური ცნობიერება	NESET
მართვა	მე შემიძლია... უნარიანი **თვითკონტროლი და თვითმოტივაცია**	მე გავაკეთებ... პასუხისმგებლიანი **გავლენა**	Cefai, Cavioni
	საკუთარი თავის მართვა	სოციალური მენეჯმენტი	NESET

სოციალური და ემოციური კომპეტენციების მატრიცა. Cefai -სა და Cavioni-ის კონცეფციისა და NESET -ის კომპეტენციები

თვითცნობიერება: მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ემოციების ამოცნობა, საკუთარი ინტერესებისა და ღირებულებების აღწერა და ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება. მათ შეუძლიათ რეფლექსია საკუთარ ფიქრებზე და სწავლის პროცესზე. აქვთ თავდაჯერებულობისა და ავტონომიურობის განცდა. მომავალს იმედიანად უყურებენ და აქვთ მიზანი ცხოვრებაში.

[38] Social and Emotional Education in Primary School
[39] NESET (Network of Experts working on the Social dimension of Education and Training) დაარსდა 2015 წელს ევროკავშირის ევროკომისიის მიერ.
[40] Strengthening Social and Emotional Education as a core curricular area across the EU A review of the international evidence

საკუთარი თავის მართვა: მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ფიქრების, ემოციების, ქცევისა და სტრესის მართვა. აქვთ უნარი ჩაერთონ კონსტრუქციულ დიალოგში, აკონტროლონ იმპულსები და გაუმკლავდნენ დაბრკოლებებს. შეუძლიათ დაისახონ მიზნები, მოახდინონ აკადემიური და პიროვნული პროგრესის მონიტორინგი. აქვთ კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი. მოსწავლეები პოზიტიურ და ნეგატიურ ემოციებს გამოხატავენ სიტუაციის, კონტექსტის შესაბამისად. არიან ყურადღებიანენი და ფოკუსირებულები. აქტიურად არიან ჩართული სოციალურ და აკადემიურ დავალებებში.

სოციალური ცნობიერება: მოსწავლეებს შეუძლიათ სხვების პერსპექტივის გაგება და თანაგრძნობა, ჯგუფებს შორის განსხვავებებისა და საერთო ნიშნების ამოცნობა და დაფასება, მრავალფეროვნებისა და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა. მათ აქვთ საზოგადოებასთან მიკუთვნებულობის განცდა. შეუძლიათ მათ არეალში არსებული რესურსების მობილიზება და შესაბამისად გამოყენება. მოსწავლეები ავლენენ პროსოციალურ ღირებულებებსა და ქცევებს, მოტივირებულები არიან რომ წვლილი შეიტანონ მათ სკოლისა და თემის კეთილდღეობაში. ასევე ზრუნავენ ფიზიკურ გარემოზე.

სოციალური მენეჯმენტი: მოსწავლეებს აქვთ კარგი ურთიერთობის უნარები, შეუძლიათ ჯანსაღი ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება, თანამშრომლობა. უძლევენ და ეწინააღმდეგებიან არასათანადო სოციალურ წნეხს. ახერხებენ კონსტრუქციულად მოახდინონ ინტერპერსონალური კონფლიქტების პრევენცია, მართვა და გადაჭრა. შეუძლიათ დახმარების მოძიება და ასევე სხვების დახმარება. ავლენენ ეთიკურ ქცევას და სხვადასხვა კონტექსტებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქმედებენ პასუხისმგებლობის გრძნობით, ითვალისწინებენ სხვების საჭიროებებსა და უფლებებს.

ზემოთ აღწერილი თეორიული ჩარჩო წარმოადგენს სოციალური და ემოციური განათლების ერთ-ერთ საფუძველს ევროკავშირის მასშტაბით. მისი დანერგვა სხვადასხვა გზებით ხდება - როგორც კურიკულუმში, ასევე ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშემწყობ პროგრამებში ინტეგრირებით. მიდგომა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სასკოლი გეგმებშიც, სკოლის მისიისა და მიზნების განაცხადებში.

განხილული სოციალური და ემოციური განათლების ჩარჩო დაკავშირებულია ევროკავშირის საბჭოს მიერ შემუშავებულ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ძირითადი კომპეტენციებთან (European Framework of Key Competences for Lifelong Learning). კომპეტენციების თავდაპირველი ვერსია 2006 წელს შემუშავდა, რომელშიც სოციალური სფერო ერთ-ერთი კომპეტენციის ქვეკატეგორიად განიხილებოდა, ხოლო ემოციურ უნარებზე აქცენტი ფაქტობრივად არ იყო გათვალისწინებული.[41] 2019 წელს კი ევროსაბჭოს ჩარჩოს რევიზიის კვალდაკვალ გამოყოფილ კომპეტენციებში გაჩნდა პერსონალური, სოციალური და სწავლის (learning to learn) კომპეტენცია. [42]

ცხრილი 4. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ძირითადი კომპეტენციები ევროკავშირის მიერ 2006 და 2019 წელს

[41] Strengthening Social and Emotional Education as a core curricular area across the EU, გვ:34
[42] Key competences for lifelong learning

ძირითადი კომპეტენციები (2006)	ძირითადი კომპეტენციები (2019)
კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე	წიგნიერება
კომუნიკაცია უცხოურ ენაზე	მულტილინგვური კომპეტენცია
მათემატიკური, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ბაზისური კომპეტენციები	მათემატიკური, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის კომპეტენცია
ციფრული კომპეტენცია	ციფრული კომპეტენცია
სწავლის სწავლა	პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია
სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია	მოქალაქეობის კომპეტენცია
ინიციატივა და მეწარმეობა	სამეწარმეო კომპეტენცია
კულტურული ცნობიერებისა და გამოხატვის კომპეტენცია	კულტურული ცნობიერებისა და გამოხატვის კომპეტენცია

მოცემული დოკუმენტის მიზნობრიობიდან გამომდინარე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ძირითადი 8 კომპეტენციიდან განვიხილავთ პერსონალურ, სოციალურ და სწავლის კომპეტენციას, რადგან სწორედ აღნიშნულია დაკავშირებული სოციალურ-ემოციურ განათლებასთან.

პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენცია წარმოადგენს ინდივიდის მიერ საკუთარი თავის გაცნობიერების, სხვებთან კონსტრუქციულად ურთიერთობების დამყარების, მედეგობის,[43] სწავლის პროცესისა და ცხოვრების მართვისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას. პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენცია დაკავშირებულია ფიზიკური და მენტალური კეთილდღეობის შენარჩუნებასთან. პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენცია გულისხმობს შემდეგი სახის ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს:

ცხრილი 5. პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენცია

ცოდნა	• ჯანსაღი ცხოვრების წესის, გონებისა და სხეულის შესახებ ცოდნა; • საკუთარი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ ცოდნა; • განვითარებისა და სწავლის გაუმჯობესების შესახებ ძლებლობების ცოდნა.
უნარები	• საკუთარი შესაძლებლობების, უნარების იდენტიფიცირება; • კრიტიკული ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება; • გუნდურად და ინდივიდუალურად მუშაობის უნარები; • მედეგობა და სტრესთან გამკლავების უნარები; • კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება; • ემპათიურობა; • სხვადასხვა პერსპექტივების გაგება და გამოხატვა.
დამოკიდებულებები	• საკუთარი და სხვების ემოციური და ფიზიკური კეთილდღეობისადმი პოზიტიური დამოკიდებულება; • მრავალფეროვნების პატივისცემა;

[43] მედეგობა - resilient

	• პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დამოკიდებულებების ქონა; • თანამშრომლობის, საკუთარ თავში დარწმუნებულობისა და პატიოსნების დამოკიდებულება.

დანერგვის მექანიზმები

Erasmus+ -ის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება სოციალური და ემოციური სწავლების მიმართულებით. მასში გამოყოფილია 8 ძირითადი კომპონენტი, რაც განაპირობებს წარმატებულ სოციალურ და ემოციურ განათლებას.

ცხრილი 6. წარმატებული სოციალური და ემოციური სწავლების კომპონენტები

კომპონენტი	აღწერა
კურიკულუმი	სოციალური და ემოციური სწავლა ჩაშენებული უნდა იყოს კურიკულუმში. ინტეგრაციისთვის საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შემოთავაზებულია SAFE[44] სტრატეგია, რომელიც ოთხ კომპონენტს მოიცავს: **თანმიმდევრულობა** (სოციალური და ემოციური სწავლა სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად უნდა იყოს წარმოდგენილი), **აქტიურობა** (სწავლა მიმდინარეობს გამოცდილებაზე დაყრდნობით, უნარების პრაქტიკული განვითარებით), **ფოკუსი** (აქცენტირებულია უშუალოდ სოციალური და ემოციური კომპეტენციები და არა ზოგადი კეთილდღეობა და ჯანმრთელობა) **ექსპლიციტურობა** (გაწერილია მიზნები და შედეგები, რაც უნდა მიიღწეს პროგრამის შედეგად). სხვადასხვა საგნებში - სამოქალაქო განათლება, სექსუალური განათლება, ფიზიკური აღზრდა, ჯანმრთელობის განათლება) შესაძლოა იყოს გადაფარული სოციალური და ემოციური განათლების საკითხები, თუმცა ამ საგნებით ვერ მოხდება სეგ (სოციალური და ემოციური განათლება) -ის ჩანაცვლება, თუმცა შესაძლებელია შევსება. კურიკულუმში ასევე დაბალანსებული უნდა იყოს პიროვნული და ინტერპერსონალური სფეროები.
სასკოლო კლიმატი	სკოლაში უნდა იყოს ჯანსაღი და მხარდამჭერი კლიმატი, სადაც პოზიტიური ურთიერთობებია მასწავლებლებს, სკოლის პერსონალს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ უსაფრთხოებისა და სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა.
ადრეული ინტერვენცია	სოციალური და ემოციური განათლება ეფექტურია სწავლების ყველა საფეხურზე, თუმცა, მტკიცებულებები მიუთითებს სკოლის ადრეულ წლებში ინტერვენციების მეტ ეფექტურობაზე უფროს კლასებთან შედარებით.
მიზნობრივი ინტერვენციები	მიუხედავად იმისა, რომ უნივერსალური სოციალური და ემოციური განათლება ეფექტურია ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისთვის და ღარიბი ოჯახების წარმომადგენლებისთვის, კვლევები აჩვენებს, რომ უნივერსალური პროგრამების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია მიზნობრივი ინტერვენციების დაგეგმვა რისკის ქვეშ მყოფი ან სხვადასხვა სირთულის წინაშე მყოფი მოსწავლეებისვის.

[44] SAFE აკრონიმია - Sequence, Active, Focused, Explicit.

მოსწავლეების ჩართულობა	მოსწავლეებს ცენტრალური ადგილი უკავიათ სოციალური და ემოციური პროგრამების დაგეგმვის, იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. გარდა იმისა, რომ მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უფროსკლასელები ასევე ჩართულები არიან სოციალური და ემოციური განათლების პროგრამების დიზაინში და რესურსების შექმნაში, რაც უზრუნველყოფილია დემოკრატიული, მონაწილეობითი პროცესით, რათა თავიდან იქნას აცილებული თავს მოხვეული ინტერვენციები.
სკოლის პერსონალის კომპეტენციები და კეთილდღეობა	მასწავლებლები და სკოლის სხვა პერსონალი მეტად ეფექტურები არიან სოციალური და ემოციური სწავლების პროცესში, თუ მათი სოციალური და ემოციური კომპეტენციებიც შესაბამისია. ამიტომ, სოციალური და ემოციური განათლება მასწავლებლების პროფესიული განვითარების ინტეგრირებული ნაწილი უნდა იყოს.
მშობლელთა განათლება და თანამშრომლობა	მშობელთა განათლება წარმატებული სოციალური და ემოციური სწავლების პროგრამების ერთ-ერთი ცენტრალური მახასიათებელია. მშობელთა გაზრდილი ჩართულობა დადებით კორელაციაშია მოსწავლეების პოზიტიურ ქცევასთან და უნარების განვითარებასთან. ამასთან, ვითარდება თავად მშობლების სოციალური უნარები.
ხარისხიანი დანერგვა და ადაპტაცია	სოციალური და ემოციური განათლების ეფექტურობის მთავარი კრიტერიუმი არის დანერგვისა და ადაპტაციის ხარისხი. ხარისხში იგულისხმება მასწალებელთა უწყვეტი განათლება, კარგი დაგეგმარება, ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყოფა. ხარისხიანი ადაპტაცია გულისხმობს ბალანსს ერთის მხრივ პროგრამის მთლიანობის შენარჩუნებასა და მეორეს მხრივ ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებას შორის.

OECD-ის სოციალური და ემოციური უნარების ჩარჩო

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ინტერესი სოციალურ და ემოციურ სწავლაზე 2015 წლიდან დაიწყო. ინტერდისციპლინური მიდგომით, ორგანიზაციამ შეისწავლა არსებული ლიტერატურა განათლების, ფსიქოლოგიისა და განვითარების სფეროებიდან, რომელზე დაყრდნობითაც შეიმუშავა სოციალური და ემოციური უნარების კონცეპტუალური ჩარჩო და საერთაშორისო შეფასების მექანიზმები. OECD ეყრდნობა დიდი ხუთეულის თეორიას,[45] თუმცა იყენებს ტერმინს „უნარები“ და არა „ნიშნები“. სიტყვა „უნარების“ გამოყენებით აღნიშნულ კონცეფციაში ხაზგასმულია სოციალური და ემოციური უნარების მოქნილობის, ცვლილებებისა და განვითარების შესაძლებლობა და არ განიხილება ის, როგორც ფიქსირებული, თანდაყოლილი მოცემულობა. OECD სოციალურ და ემოციურ უნარებს შემდეგნაირად განმარტავს - ინდივიდის უნარები, რომელიც:

ა) გამოიხატება ფიქრების, ემოციებისა და ქცევების გარკვეულ თანმიმდევრულობაში;

ბ) ვითარდება ფორმალური და არაფორმალური სწავლების გზით;

[45] ხუთფაქტორიანი მოდელი (Big Five Personality Traits) გამოყოფს პიროვნების 5 ნიშანს: გამოცდილებისადმი ღიაობა, ცნობიერება, ექსტრავერსია, თანხმობისადმი მზაობა, ნეიროტიციზმი

გ) წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებაზე სოციო-ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენის შემცირების მნიშვნელოვან ფაქტორს.

სურათი 4. OECD ინსტრუმენტები



OECD-ის კვლევები, როგორიცაა მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA), ზრდასრულის უნარების კითხვარი (PIAAC) და ადრეული განათლებისა და ბავშვის კეთილდღეობის საერთაშორისო კვლევა (IELS) უპირატესად მიმართულია კოგნიტური უნარების, წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების შეფასებაზე. ამადვროულად, დღეისათვის PISA კვლევაში ფოკუსი გაფართოვებულია და მონაცემების შეგროვება ხდება აკადემიური თვითეფექტურობის, ცოდნისადმი ღიაობის, ცნობისმოყვარეობისა და სამოქალაქო ჩართულობის შესახებ. სოციალურ და ემოციური უნარების მნიშვნელობის აღიარების კვალდაკვალ, OECD -მ გადაწყვიტა უფრო სიღრმისეული და ყოვლისმომცველი შესწავლა სოციალური და ემოციური უნარების საერთაშორისო კვლევით (SSES) (სურათი N5).

OECD-ის სოციალური და ემოციური უნარების კონცეპტუალური ჩარჩო 5 მიმართულებასა და თითოეულთან დაკავშირებულ 15 უნარს გამოყოფს:

1. **ამოცანის შესრულება:** თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა, მდგრადობა
2. **ემოციური რეგულაცია:** სტრესთან გამკლავება, ოპტიმიზმი, ემოციური კონტროლი
3. **თანამშრომლობა:** ემპათია, ნდობა, შეთანხმებულად მუშაობა
4. **ღიაობა:** ტოლერანტობა, ცნობისმოყვარეობა, შემოქმედებითობა
5. **ჩართულობა:** სოციალურობა, ასერტულობა, ენერგიულობა[46]

ცხრილი 7. სოციალური და ემოციური უნარების აღწერა (OECD)

[46] Assessment Framework of the OECD Study on Social and Emotional Skills

N		უნარი	აღწერა
1	ამოცანის შესრულება	თვითკონტროლი	იმპულსის კონტოლის, სურვილების გადავადებისა და კონცენტრაციის შენარჩუნების უნარები
2		პასუხისმგებლობა	დანაპირების, მოვალეობის, ფუნქცია - მოვალეობების შესრულების უნარი
3		მდგრადობა	ამოცანასა და აქტივობაზე ძალისხმევის მიმართვა, ხელისშემშლელ ფაქტორებთან გამკლავების უნარი
4	ემოციური რეგულაცია	სტრესთან გამკლავება	შფოთვის დარეგულირებისა და სტრესზე რეაგირების უნარები
5		ოპტიმიზმი	დადებითი მოლოდინების ქონა საკუთარი თავის, სხვების, სამყაროსგან
6		ემოციური კონტროლი	საკუთარი ემოციების ამოცნობისა და მართვის უნარები
7	თანამშრომლობა	ემპათია	სხვების მიმართ თანაგრძნობის უნარი
8		ნდობა	მოლოდინის ქონა, რომ ზოგადად ადამიანებს დადებითი განზრახვები აქვთ
9		შეთანხმებული მუშაობა	სხვებთან (კლასი, ოჯახი და ა.შ.) ჰარმონიულად თანაცხოვრების უნარი
10	ღიაობა	ტოლერანტობა	სხვადასხვა მოსაზრებებისადმი, კულტურული მრავალფეროვნებისადმი შემწყნარებლობა
11		ცნობისმოყვარეობა	იდეებით, კვლევით, აღმოჩენებით დაინტერესება, სწავლისადმი სიყვარული
12		შემოქმედებითობა	ახალი იდეებისა და პროდუქტების შექმნა
13	ჩართულობა	სოციალურობა	სოციალური ურთიერთობის ინტერესი, ინიციატივა
14		ასერტულობა	საკუთარი მოსაწრებების, ქცევის სხვისთვის არასაზიანო, არგუმენტირებულად გამოხატვის უნარი
15		ენერგიულობა	ყოველდღიური აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ენერგიის შენარჩუნების უნარი

21-ე საუკუნის სწავლის კონცეპტუალური ჩარჩო

ამერიკის შეერთებული შტატების არასამთავრობო ორგანიზაციამ Battelle for Kids შეიმუშავა 21-ე საუკუნის სწავლის კონცეპტუალური ჩარჩო, რომლის მიზანია გამოყოფილი უნარების სწავლის ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესსა და ძირითად აკადემიურ საგნებში. ჩარჩო შემუშავდა მასწავლებლების, განათლების ექსპერტებისა და ბიზნეს ლიდერების კოლაბორაციით, შედეგად კი განისაზღვრა ოცდამეერთე საუკუნის ადამიანისთვის საჭირო ცოდნა და უნარები, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმატების მისაღწევად კარიერაში, პირად ცხოვრებასა და საზოგადოებაში.

აღნიშნული კონცეპტუალური ჩარჩო ერთ-ერთი ყველაზე ყოვლისმომცველი და კომპლექსურია, რადგან მასში ინტეგრირებულია ადამიანის ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა განზომილებები.[47]

სურათი 5. 21-ე საუკუნის სწავლის კონცეპტუალური ჩარჩო

[47] Battelle for Kids, Resources and Framework



როგორც ზემოთ მოცემულ სურათზეა აღნიშნული, 21-ე საუკუნის სწავლის კონცეპტუალური ჩარჩო მოსწავლის უნარებისა და კომპეტენციების დაუფლებას განიხილავს არა ცალკე, დამატებითი აქტივობების სახით, არამედ ძირითად საგნობრივ თემებთან ინტეგრირებულად. აღნიშნული ამყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსწავლის განვითარება ჰოლისტურია და სასწავლო დაწესებულების ამოცანაა არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის მიღების ხელშეწყობა, არამედ წარმატებული ცხოვრებისთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებაა. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეების უნარების განვითარებისთვის, საჭიროა მიდგომა ასახული იყოს როგორც სტანდარტსა და კურიკულუმში, ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობ სერვისებსა და ყოველდღიურ სწავლა-სწავლების პრაქტიკაში. ქვემოთ მიმოვიხილავთ 21-ე საუკუნის სწავლის კონცეპტუალური ჩარჩოს კომპონენტებს.

ჩარჩო განსაზღვრავს იმ აუცილებელ და ძირითად საგნებს, რომლის შესწავლა კრიტიკულად მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნის მოქალაქისთვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში და როგორ კულტურაში ცხოვრობს ის. ძირითადი საგნები მოიცავს: ენა, მსოფლიოს ენები, ხელოვნება, მათემატიკა, ეკონომიკა, მეცნიერება, გეოგრაფია, ისტორია, სახელმწიფო და მოქალაქეობა. გარდა ჩამოთვლილი საგნებისა[48] ჩარჩო გვთავაზობს საკვანძო თემატურ მიმართულებებს, რომელთა შესახებ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია დღევანდელ სამყაროში მცხოვრები მოზარდისა თუ ზრდასრულისთვის. თემატური მიმართულებები უკავშირდება შემდეგ განზომილებებს:

- **გლობალური საკითხები** - განსხვავებული და მრავალფეროვანი კულტურების, ეროვნებისა და საზოგადოებრივი კონტექსტების შესახებ ინფორმაცია
- **ეკონომიკური და ბიზნეს საკითხები** - ეკონომიკის გავლენების შეფასება და გაგება საზოგადოების კეთილდღეობაზე
- **მოქალაქეობა** - ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების გააზრება ლოკალურ და ფლობალურ კონტექსტებში

[48] დოკუმენტის მიზნიდან გამომდინარე, დეტალურად არ განვიხილავთ საგნოვრივ და თემატურ მიმართულებებს.

- **ჯანმრთელობა** - ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული და საერთაშორისო საკითხების გააზრება, ინფორმაციის გამოყენება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში
- **გარემოს საკითხები** - საზოგადოებისა და გარემოს (ჰაერი, კლიმატი, მიწა და ა.შ.) კავშირის, ზემოქმედების, შესაძლო ზიანისა და რისკების შემცირების გზების გააზრება

21-ე საუკუნის სწავლის კონცეპტუალური ჩარჩოს სპეციფიკურ უნარები 3 მიმართულებად იყოფა და თითოეულში წარმოდგენილია მიმართულების ქვე-უნარები.[49] [50]

ცხრილი 8. 21- ე საუკუნის სწავლის ჩარჩოს უნარები

N	მიმართ.ება	უნარები	კონრეტული უნარები
1	ცხოვრებისა და კარიერული უნარები	მოქნილობა და ადაპტურობა	• ცვლილებებისადმი ადაპტურობა • ფლექსიურობა
2		ინიციატივა და თვითმართვა	• დროისა და მიზნების მართვა • დამოუკიდებლად მუშაობა
3		სოციალური და კროს კულტურული უნარები	• სხვებთან ეფეტურად მუშაობა • მრავალფეროვან ჯგუფებში ეფექტურად მუშაობა
4		პროდუქტულობა და ანგარიშვალდებულება	• პროექტების მართვა • ანგარიშვალდებულება
5		ლიდერობა და პასუხისმგებლობა	• სხვების გაძღოლა • სხვების მიმართ პასუხისმგებლობის ქონა
6	მედია და ტექნოლოგიური უნარები	ინფორმაციული წიგნიერება	• ინფრომაციაზე წვდომა და შეფასება • ინფორმაციის კრიტიკულად და კომპეტენტურად შეფასება
7		მედია წიგნიერება	• მედიის ანალიზი • მედია პროდუქტების შექმნა • ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება
8	სწავლისა და ინოვაციური უნარები	შემოქმედებითობა და ინოვაციურობა	• შემოქმედებითად ფიქრი • სხვებთან ერთად შემოქმედებითად მუშაობა • ინოვაციების დანერგვა
9		კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა	• ეფექტური მსჯელობა, განსჯა • პრობლემის გადაჭრა
10		კომუნიკაცია და კოლაბორაცია	• მკაფიო კომუნიკაციის დამყარება • თანამშრობლობა და კოლაბორაცია

სიღრმისეული სწავლა - 6C

21 -ე საუკუნის უნარების შესახებ არსებული ერთ-ერთ კონცეფცია, 4C, Miller -მა[51] და Fullan -მა[52] ერთმანეთისგან დამოუკიდებლად 2015 წელს განავრცეს და დაამატეს დამატებითი

[49] FRAMEWORK FOR 21st CENTURY LEARNING DEFINITIONS
[50] 21 Century Learning – Explore SEL Framework
[51] The 6 C's Squared Version of Education in the 21st Century
[52] New Pedagogies for Deep Learning Whitepaper: Education PLUS

უნარები - Miller -მა შემოგვთავაზა კავშირი (Connectivity) და კულტურა (Culture), ხოლო Fullan -მა ხასიათი (Character) და მოქალაქეობა (Citizenship). ორივე ამ ავტორის კონცეფციები 6C -ის სახელითაა ცნობილი. განსხვავებით 4C -საგან, 6C -ის შესახებ არც დანერგვის გაიდლაინებია ხელმისაწვდომი და არც ამ კონცეფციის ეფექტურობის შესახებ არსებობს მრავლად კვლევები.[53]

მილერის (Miller) 6C

Miller თითოეული უნარის ქვეშ გამოყოფს დამატებით 6 უნარს, რაც მისი აზრით აქცენტირებული უნდა იყოს 21 -ე საუკუნეში.

სურათი 6. მილერის 6C უნარები



მილერი თითოეულ უნარს განიხილავს ტექნოლოგიური განვითარების ჭრილში. მაგალითად, კრიტიკულ აზროვნებაში მოაზრებულია სხვადასხვა ციფრულ წყაროებთან მუშაობა, ინფორმაციის ანალიზისთვის პროგრამებისა და ხელსაწყოების გამოყენება, კომუნიკაციაში მნიშვნელოვანია თანამედროვე არხების გამოყენება, თანამშრომლობა მათ შორის მოიაზრებს ეფექტურ ონლაინ თანამშრომლობას და ტექნოლოგიების გამოყენებას ეფექტური კოლაბორაციისთვის და ა.შ.

[53] Integrating the 6Cs of the 21st Century Education into the English Lesson and the School Literacy Movement in Secondary Schools

ფულანის (Fullan) 6C

Fullan 6C -ს კონცეფციას აღწერს როგორც „ახალი პედაგოგიკა სიღრმისეული სწავლისთვის“ და გამოყოფს 6 უნართა ჯგუფს (6C[54]), რაც ფუნდამენტურია 21 -ე საუკუნეში არსებულ სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით გამოწვევებთან წარმატებით და პროდუქტიულად გასამკლავებლად. ამ უნარების სწავლებით მოსწავლეებს მოვამზადებთ არა მხოლოდ არსებული, არამედ სამომავლო პროფესიებისთვის.

ხასიათი (Character) მოიაზრებს ისეთ თვისებებს, რაც აუცილებელია კომპლექსურ სამყაროში ეფექტურობისთვის: სიმტკიცე, შეუპოვრობა, გამძლეობა, საიმედოობა, პატიოსნება.

მოქალაქეობა (Citizenship) მოიაზრებს გლობალურ მოქალაქეობას და განსხვავებული ფასეულობების გაგებას, სხვებთან ერთად კომპლექსური ისეთი პრობლემების გადაჭრას, რაც მოქმედებს ადამიანებზე და გარემოს მდგრადობაზე.

კოლაბორაცია (Collaboration) გულისხმობს ურთიერთდამოკიდებულ და სინერგიულ მუშაობის უნარს განსხვავებულ ჯგუფებში და მოიაზრებს ისეთ უნარებს, როგორიცაა გუნდის დინამიკის ეფექტური მართვა, არსებითი გადაწყვეტილებების ერთობლივი მიღება, სხვების სწავლის ხელშეწყობა.

კომუნიკაცია (Communication) გულისხმობს მრავალფეროვან ჯგუფებთან შემდეგი არხით ურთიერთობას - ციფრული კომუნიკაცია, წერა და ლაპარაკი.

კრეატიულობა (Creativity) მოაზრებს „სამეწარმეო თვალის“ განვითარებას ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობების შემჩნევის, გამოვლენისა და დამუშავების მიმართ, სწორი კითხვების დასმას ახალი იდეების გენერირებისთვის და ლიდერობის დემონსტირებას ამ იდეების დასანერგად.

კრიტიკული აზროვნება (Critical Thinking) ეხება ინფორმაციისა და არგუმენტების კრიტიკულად შეფასებას, პატერნებისა და კავშირების შემჩნებას, არსებითი ცოდნის კონსტრუქციას და მის გამოყენებას.

სოციალური და ემოციური სწავლის პროგრამები

სოციალური და ემოციური სწავლის დანერგვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს კონკრეტული პროგრამები, რომელიც მიზნობრივი ასაკობრივი ჯგუფებისთვის, მათი განვითარების მახასიათებლებისა და მისაღწევი მიზნების მიხედვით იქმნება. სოციალური და ემოციური სწავლის პროგრამები, უმეტეს შემთხვევაში, ეფუძნება გარკვეულ თეორიულ ჩარჩოს, მაგალითისთვის, დოკუმენტში განხილული CASEL -ის კონცეპტუალური მიდგომის მიხედვით აშშ-ში მრავალი პროგრამაა შემუშავებული. ქვემოთ მიმოვიხილავთ რამდენიმე პროგრამას, დანერგვის მექანიზმებსა და მათ კონცეპტუალურ საფუძვლებს.

[54] 6C გამოყოფილი უნარების აღმნიშვნელი სიტყვების საწყის ასოებს აღნიშნავს (1.Character 2.Citizenship 3.Collaboration 4.Communication 5.Creativity 6.Critical Thinking)

სწავლის სოციალური და ემოციური ასპექტები (SEAL)[55]

ინგლისში 2005 წლიდან დაწყებით, 2007 წლიდან კი საბაზო საფეხურზე დაიწყო სწავლის სოციალური და ემოციური ასპექტების პროგრამის დანერგვა, რომელიც 2010 წლისთვის უმეტეს სკოლებში იყო წარმოდგენილი. პროგრამა ეყრდნობოდა გოულმენის (1995) ემოციური ინტელექტის თეორიას და ორიენტირებული იყო შემდეგი სფეროების განვითარებაზე:

- თვითშემეცნება
- თვითრეგულაცია
- მოტივაცია
- ემპათია
- სოციალური უნარები

პროგრამის იმპლემენტაცია სამ დონეზე ხდებოდა, რომელიც აღწერილია ქვემოთ მოცემულ სურათზე.

სურათი 7. სოციალური და ემოციური სწავლის ასპექტების (SEAL) იმპლემენტაცია

ეროვნულ დონეზე პროგრამის დანერგვა მოხდა საერთო ხედვისა და ენის ჩამოყალიბებით შესაბამის დაწესებულებებში და სამუშაო ჯგუფებში - ინკლუზიის, მენტალური ჯანმრთელობისა და ბავშვთა კეთილდღეობის მიმართულებით მომუშავე ჯგუფებში. პროგრამას ჰქონდა კომუნიკაციის კომპონენტი, რათა მკაფიო ყოფილიყო პროგრამის პრიორიტეტები საგანმანათლებლო სექტორში ჩართული დაინტერესებული მხარეებისთვის. ასევე, სოციალური და ემოციური უნარების განვითარება აირეკლა ყველა შესაბამის სტრატეგიაში, პროგრამასა და დოკუმენტში. დაიგეგმა პროფესიული განვითარების საჭიროებები და შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა. გარდა ამისა, შეიქმნა პროგრამის ფარგლებში მოგროვებული მონაცემების დამუშავების სისტემა, რათა შედეგებზე მსჯელობა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მომხდარიყო.

სკოლის დონეზე განისაზღვრა პროგრამის დანერგვის შემდეგი პრინციპები:

[55] Sealcommunity.org

- სკოლის პერსონალის მიერ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება პროგრამის მიზნებზე;
- შესაფერისი კლიმატისა და პირობების შექმნა პროგრამის დასანერგად;
- ყველა ბავშვის ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სკოლის პერსონალისთვის სოციალური და ემოციური უნარების განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- სოციალური და ემოციური განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება სკოლის პერსონალის მიერ;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეების ჩართულობის უზრუნველყოფა სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში;
- მშობლებთან/ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- სკოლების მიერ სხვა სკოლებთან და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარება.

განსხვავებით ამერიკული გამოცდილებისგან, SEAL არ სთავაზობდა სკოლებს გამზადებულ პაკეტს, რომლის გამოყენებაც პირდაპირ იქნებოდა შესაძლებელი. ამის მიზეზი იყო სკოლების მიერ პროგრამისადმი მიკუთვნებულობის განცდის ხელშეწყობა და უზრუნველყოფა, პროგრამის მდგრადობის შენარჩუნება.

SEAL პროგრამის შეფასების დოკუმენტიდან[56] ირკვევა, რომ შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სკოლებს შორის და საბოლოოდ პროგრამამ ვერ მიაღწია თავის მიზანს - ბავშვებს განევითარებინათ სოციალური და ემოციური უნარები, გადაელახათ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და გაეუმჯობესებინათ ქცევა. ასევე არასახარბიელო შედეგები გამოვლინდა სასკოლო კლიმატზე პროგრამის ეფექტთან დაკავშირებითაც. წარუმატებლობის მიზეზებს შორის იყო:

- პროგრამა არ იყო მყარად დაფუძნებული კვლევით ლიტერატურაზე, არ იყო უზრუნველყოფილი SAFE სტრატეგია, შესაბამისად არ ხორციელდებოდა პროგრამის მონიტორინგი;
- სკოლის პერსონალისთვის არ იყო გამოყოფილი შესაბამისი დრო და რესურსები პროგრამაში სრულად ჩასართავად;
- მშობლები არ იყვნენ სათანადოდ ჩართულები პროგრამაში;
- არ იყო უზრუნველყოფილი მტკიცებულებების შეგროვება და გამოყენება პროგრამის განხორციელების დროს. პროგრამის პილოტირება არასათანადო იყო მასშტაბების გასაზრდელად;
- სკოლებს არ ჰქონდათ სათანადო მხარდაჭერა პროგრამის განხორციელების პროცესში;
- პროგრამის დანერგვის პროცესში სკოლებს მიეცათ ავტონომიურობა. მიუხედავად იმისა, რომ „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომას სკოლები კეთილგანწყობილად შეხვდნენ, მკაფიო სამოქმედო გეგმის გარეშე სკოლებს გაუჭირდათ პროცესის მართვა.

[56] Social and emotional aspects of learning (SEAL) Programme in secondary schools: national evaluation

მენტალური ჯანმრთელობის პროგრამა „ბავშვი მნიშვნელოვანია“

ავსტრალიის სოციალური და ემოციური სწავლის კონცეპტუალურ ჩარჩოში 9 ძირითადი კომპეტენციაა გამოყოფილი, რომელსაც შემდგომში დაეფუძნა სპეციფიკური პროგრამის შემუშავება, პილოტირება და დანერგვა სკოლამდელ და სკოლის დაწყებით საფეხურზე.

ცხრილი 9. Kids Matter სოციალური და ემოციური უნარები დაწყებით საფეხურზე

კომპეტენცია	აღწერა
სოციალური განვითარება	პოზიტიური მეგობრობის უნარები, სოციალური ღირებულებები და ემპათია
ემოციური განვითარება	გრძნობების გააზრება, ემოციური ცნობიერება და თავის გართმევის უნარები
მოტივაცია	ცნობისმოყვარეობას, თავდაჯერებულობას, ქებას, მოტივაციასა და სწავლას შორის კავშირების გააზრება
პოზიტიური სეპარაცია	სეპარაციის (ძველ იდენტობასთან განშორების) ტკივილის გააზრება და პოზიტიური სეპარაციების უნარების განვითარება
მედეგობა	წარმატებებისა და წარუმატებლობების მართვა და ბალანსის შენარჩუნების სწავლა
გადაწყვეტილებების მიღება	პრობლემების გადაჭრისა და კარგი გადაწყვეტილებების მიღების სწავლა
ქცევის მართვა	პოზიტიური გამტკიცება, პოზიტიური ქცევების სწავლა და ქცევის ლიმიტების დაწესება
კონფლიქტების გადაჭრა	სხვების დაფასების სწავლა და კონფლიქტის ერთობლივად გადაჭრა
ბრაზი	ბრაზის გააზრება და ქცევის რეგულირების სწავლა
თამაში	სოციალური და ემოციური უნარების თამაშით განვითარების შესაძლებლობების გააზრება

ავსტრალიური ჩარჩო იყენებდა მთლიანი სკოლის მიდგომას და ორიენტირებული იყო ოთხი კომპონენტის განვითარებაზე:

1. პოზიტიური სასკოლო თემი;
2. სოციალური და ემოციური სწავლა;
3. მშობლების განათლება და მხარდაჭერა;
4. ადრეული ინტერვენცია მენტალური ჯანრმთელობის სირთულეების მქონე მოსწავლეებთან;

პროგრამა ეყრდნობოდა სოციო-ეკოლოგიურ მიდგომას,[57] რომელიც აღიარებს მშობლების, ოჯახებისა და სკოლის თანაბარმნიშვნელოვან გავლენას მოსწავლეებზე.

ცხრილი 10. Kids Matter პროგრამის დანერგვა

იმპლემენტაციის სტრატეგიები	დამცავი ფაქტორები (რომელიც ძლიერდება KidsMatter ინიციატივით)	მოსწავლეების შედეგები

[57] Kids Matter: A Population Health Model to Support Student Mental Health and Well-being in Primary Schools

მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და პრევენცია ყველა სტუდენტისთვის **მოსწავლეები:** • აქვთ შესაძლებლობა დაეუფლონ სოციალურ და ემოციურ კომპეტენციებს **სკოლის პერსონალი:** • პროფესიული გადამზადება შემდეგი მიმართულებებით: ○ სოციალური და ემოციური სწავლების კურიკულუმის დანერგვა; ○ მშობლების ჩართულობის სტრატეგიები; ○ მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები და დამცავი ფაქტორები; **მშობლები/ოჯახები:** • შესაძლებლობები, რომ: ○ ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში; ○ მიიღონ მხარდაჭერა; ○ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია; ბავშვის განვითარებისა და ეფექტური მშობლობის შესახებ; ○ გაიარონ მშობლობის პროგრამები **მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების (შფოთვა, დეპრესია, ქცევითი პრობლემები) რისკის წინაშე მყოფ მოსწავლეებთან ადრეული ინტერვენცია** **მოსწავლეები:** • აქვთ წვდომა შესაბამის მხარდამერ პროგრამებზე **სკოლის პერსონალი:** • პროფესიული განვითარება მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებზე და რეაგირების გზებზე • მხარდაჭერა, რათა შეძლონ: ○ კავშირების დამყარება ადგილობრივ მომსახურების მიმწოდებლებთან (ფსიქოლოგი); ○ ეფექტური პროტოკოლებისა და პროცედურების შემუშავება ბავშვების მხარდასაჭერად; ○ როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნა მხარდაჭერის პროცესში; **მშობლები/ოჯახები:** • შესაძლებლობები, რომ: ○ მიიღონ ინფორმაცია ბავშვის მენტალური ჯანრთელობისა და ადგილობრივი მომსახურებების შესახებ; ○ გაიარონ მშობლობის პროგრამები;	**ოჯახის კონტექსტი** • ეფექტური მშობლობა • მხარდამჭერი; ურთიერთობები სკოლებსა და ოჯახებს შორის; **ბავშვების ფაქტორები** • სოციალური და ემოციური კომპეტენციები; • საკუთარი თავის მართვის განცდა; • ოპტიმიზმის განცდა; **სკოლის კონტექსტი** • სკოლის პერსონალის ცოდნა, კომპეტენციები და თავდაჯერებულობა სოციალური და ემოციური კომპეტენციების სწავლაში; • სკოლის პერსონალის ცოდნა, კომპეტენციები და თავდაჯერებულობა, რომ შესაბამისად ირეაგირონ მოსწავლეების პრობლემებზე; • პოზიტიური სასკოლო კლიმატი, სადაც ბავშვებს, პერსონალს და მშობლებს აქვს მიკუთვნებულობის და ურთიერთკავშირის განცდა	• მოსწავლეების გაუმჯობესებული მენტალური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; • შემცირებული პრობლემები (შფოთვა, დეპრეცია, ქცევითი პრობლემები); • გაძლიერებული მხარდაჭერა და ზრუნვა რისკის წინაშე მყოფი მოსწავლეებისთვის;

მნიშვნელოვანია, რომ ოთხივე კომპონენტის განხორციელებისთვის პროგრამაში ჩართული სკოლები ერთნაირად იყო უზრუნველყოფილი ძირითადი მასალებითა და რესურსებით. მასწავლებლებს ასევე ჰქონდათ წვდომა პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე და პროფესიულ კონსულტაციაზე. პროგრამაში ინტეგრირებული იყო სხვადასხვა მრავალფეროვანი მოდულები და კომპონენტები (პოზიტიური მშობლობის, სოციალური პრობლემის გადაჭრის და ა.შ.), რომელთა შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობაც სკოლებს შეეძლოთ.

როგორც პროგრამის შეფასების დოკუმენტში,[58] ასევე კვლევებში[59] ჩანს KidsMatter -ის დადებითი ეფექტები პროგრამის ოთხივე ძირითადი მიმართულებით. პროგრამის შეფასების დოკუმენტიდან ჩანს ორი ძირითადი წინაპირობა, რამაც განაპირობა პროგრამის წარმატებით განხორციელება. იმ სკოლებს, რომლებმაც განსაკუთრებულად კარგი შედეგები აჩვენეს, ორი შემდეგი მიმართულებით ჰქონდათ აქტიურად ნამუშევარი:

1. **სკოლებმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმეს წინასწარ გაწერილ იმპლემენტაციის შვიდნაბიჯიან გეგმას:**
    i. თითოეული კომპონენტის ჭრილში სკოლის ამჟამინდელი სიტუაციის შეფასება და მოკლე შეჯამება;
    ii. შეჯამების საფუძველზე მიზნების განსაზღვრა;
    iii. ნებისმიერი საკითხის იდენტიფიცირება, რამაც მიზნების შეიძლება მიღწევას ხელი შეუშალოს;
    iv. შესაძლებლობების/სტრატეგიების ფართო სპექტრის შემუშავება რისკების შესამცირებლად და მიზნების მისაღწევად;
    v. თითოეული ამ შესაძლებლობის/სტრატეგიის მიზანშეწონილობის შეფასება;
    vi. თითოეული კომპონენტის მიხედვით სამოქმედო გეგმის შედგენა;
    vii. გეგმის განხორციელება და პერიოდული განხილვა.
2. **სკოლებში მთავარი დაინტერესებული მხარეები აქტიურად იყვნენ ჩართულები პროცესში. მათ შორის, სკოლის მენეჯმენტიც აქტიურად მონაწილეობდა პროცესებში.**

ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავებულია პროგრამა და რესურსების ნაკრები, რომლის მიზანია დაეხმაროს მასწავლებელს მათი მოსწავლეების ემოციების რეგულაციის, იმპლუსის კონტროლისა და პოზიტიური ურთიერთობის დამყარების უნარების გაუმჯობესებაში. ნაბიჯ-ნაბიჯის კონცეპტუალური ჩარჩო აქცენტს აკეთებს 6 ძირითად ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან უნარზე, მათ შორის: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, პოზიტიური კომუნიკაცია, დეტერმინაცია[60]

[58] Kids Matter Evaluation Final Report
[59] Integrating SEL with related prevention and youth development approaches
[60] მიზნების დასახვა და მიზნებისკენ სვლა - მიზანდასახულობა

და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების მიღება. პროგრამა განკუთვნილია 6 დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის.

ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამის კონცეპტუალური ჩარჩო, როგორც ვხედავთ არ არის უნიკალური და ჩვენ მიერ განხილული Casel-ის კომპეტენციების თითქმის იდენტურია. ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა 3 ძირითადი მოდულისგან შედგება და თითოეული მოდული მიმართულია ზოგადი და სპეციფიკური უნარების განვითარებისკენ (იხ.ცხრილი N7)

ცხრილი 11. პროგრამის „ნაბიჯ-ნაბიჯ“ მოდულები და შესაბამისი უნარები

მოდული	ზოგადი უნარები	სპეციფიკური უნარები
ჩემს თავთან *საკუთარი ემოციების გაგება და მართვა*	თვითცნობიერება	თვითკონტოლი
		თვითეფექტურობა
		ემოციური ცნობიერება
	თვითრეგულაცია	ემოციური რეგულაცია
		სურვილის გადავადება
		ფრუსტრაციასთან გამკლავება
სხვებთან *პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნება*	სოციალური ცნობიერება	სხვისი პერსპექტივის გაგება
		ემპათია
		პროსოციალური ქცევა
	პოზიტიური კომუნიკაცია	აქტიური მოსმენა
		ასერტულობა
		კონფლიქტის მართვა
გამოწვევებთან *ცხოვრებიდან საუკეთესოს მიღება*	მიზანდასახულობა	მიღწევის მოტივაცია
		შეუპოვრობა
		სტრესთან გამკლავება
	პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების მიღება	შემოქმედებითი აზროვნება
		კრიტიკული აზროვნება
		პასუხისმგებლობა

პროგრამას თან ახლავს ელექტრონული რესურსები მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და კლასისთვის. თუმცა საკლასო რესურსები (ამბების წიგნი და მოსასმენი CD) მხოლოდ ესპანურ ენაზეა. პროგრამაში მოცემულია 40-45 წუთიანი გაკვეთილების სცენარები, აქტივობები და პროგრამის შინაარსი შექმნილია „SAFE“ მიდგომაზე დაყრდნობით.

- S - განვითარების შესაბამისი თანმიმდევრული აქტივობები თითოეული კლასისთვის 1 დან 11-ე კლასის ჩათვლით;
- A - სწავლის აქტიური ფორმების გამოყენებით მიმდინარე პროცესი, რომელშიც ინტეგრირებულია მოდელირების, როლური თამაშების, დისკუსიისა და სხვა მრავალფეროვანი სწავლის მეთოდები;
- F - ფოკუსი კეთდება ყოველკვირეულად რომელიმე ზოგად უნარზე კურიკულუმსა და სკოლის საათების მიმდინარეობისას;
- E - ექსპლიციტური ანუ მკაფიო და პირდაპირი სწავლა, სოციალური და ემოციური უნარების მოსწავლეების პრაქტიკასთან დაკავშირება.

პროგრამის „ნაბიჯ-ნაბიჯ“ რესურსები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: რესურსები

სოციალურ-ემოციური უნარების შეფასება სასწავლო პროცესში

სოციალურ და ემოციურ განათლებაში შეფასებას განსაკუთრებულად დიდი როლი ენიჭება. განმავითარებელი შეფასება (შეფასება სწავლისთვის) მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სწავლებასთან, სწავლის პროცესთან, გაუმჯობესებაზე ორიენტირებული უკუკავშირების გამოყენებასთან. განმავითარებელი შეფასების პრინციპები შეესატყვისება სოციალური და ემოციური კომპეტენციების შეძენას, როგორიცაა თანამშრომლობა, თვითრეგულაცია, თვითცნობიერება და სოციო-ემოციური სწავლის სხვა კომპონენტები. განმავითარებელი შეფასება, ასევე, კარგად ერგება ემოციური კომპეტენციების შეფასებას, რომელიც ჩვეულებრივ საკმაოდ რთულად შესაფასებელია ტრადიციული შეფასების პრაქტიკის გამოყენებით.

სოციალური და ემოციური განათლების შეფასებისა და ზოგადად - განმავითარებელი შეფასების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად შეიქმნა მოსწავლეთა სოციალური და ემოციური უნარების განმავითარებელი შეფასების ჩარჩო. ჩარჩო მორგებულია ევროპულ საგანმანათლებლო კონტექსტს, თუმცა შესაძლებელია მისი ადაპტირება სხვადასხვა კულტურისა და ეროვნების კონტექსტში.

სოციალური და ემოციური უნარების განმავითარებელი შეფასების ჩარჩო მოიაზრებს მასწავლებლის, მოსწავლისა და თანატოლების ჩართულობას, მთლიანი სკოლის კონტექსტში კი ხაზს უსვამს სკოლის სხვა სპეციალისტებისა და მშობლების თანამონაწილეობას. ჩარჩო უპირატესად ფოკუსირებულია ცალკეული მოსწავლეების სოციალური და ემოციური უნარების შეფასებაზე, თუმცა ამავდროულად გარკვეულწილად წარმოდგენილია მთლიანი კლასისა და სკოლის შეფასების პრინციპებიც. სოციალური და ემოციური უნარების განმავითარებელი შეფასების ევროპული ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრულია 9 სახელმღვანელო პრინციპი:

- **ბავშვის უფლებების პატივისცემა:** შეფასებამ გავლენა არ უნდა მოახდინოს მოსწავლის თვითგამოხატვაზე, დაცულობაზე, კეთილდღეობასა და მენტალურ ჯანმრთელობაზე;
- **შეფასების არაშედარებითობა:** შეფასება მიემართება კონკრეტულ მოსწავლეს და ხდება მისი უნარების პროგრესის შეფასება დროის განმავლობაში;
- **ინკლუზიურობა და თანასწორობა:** შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები უნდა ქმნიდეს ტანასწორ შესაძლებლობებს თითოეული მოსწავლისთვის;
- **უნივერსალური დანერგვა:** სოციალური და ემოციური განათლების მიწოდება და შეფასება უნდა მოიცავდეს ყველა მოსწავლეს კლასში;
- **ძლიერ მხარეებზე დაფუძნება:** შეფასება არ გამოიყენება სოციალური და ემოციური უნარების დეფიციტის დიაგნოსტირებისთვის. შეფასების მიზანია სოციალური და ემოციური სწავლის პროცესის შეფასება;

- **თანამშრომლობითი შეფასება:** განმავითარებელი შეფასებისას ხდება თანამშრომლობა მოსწავლესთან (თვითშეფასება) და თანატოლებთან (თანატოლთა შეფასება);
- **სისტემურობა და ეკოლოგიურობა:** შეფასებისას რეკომენდებულია კლასისა და სკოლის კონტექსტის გათვალისწინება, საკლასო კლიმატი შესაძლებელია გავლენას ახდენდეს და აისახებოდეს სოციალურ და ემოციურ სწავლაზე.
- **განვითარებასთან შესაბამისობა:** სოციალური და ემოციური უნარების სწავლა და შეფასება უნდა ითვალისწინებდეს განვითარების კანონზომიერებებსა და ცვლილებებს;
- **კულტურასთან შესაბამისობა:** სწავლისა და შეფასების პროცესში მრავალფეროვანი სოციალური და კულტურული ასპექტები უნდა იყოს გათვალისწინებული.[61]

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ განმსაზღვრელი შეფასება (სტანდარტიზებული ტესტები, ნორმაზე დაფუძნებული სკალები და კითხვარები) სასკოლო კონტექსტში ნაკლებად გამოიყენება სოციალური და ემოციური უნარების შეფასებისთვის.[62] ამავდროულად, განმავითარებელი შეფასების ისეთი ერთი ინსტრუმენტი, რომელიც სრულყოფილად შეაფასებს სოციალურ და ემოციურ კომპეტენციებს, არ არსებობს. სიღრმისეული შეფასების განხორციელებისთვის საჭიროა მრავალგვარი და მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება, მაგალითად: თვითშეფასება, თანატოლთა შეასება, განმავითარებელი შეფასების ჩეკლისტი, რუბრიკები, პორტფოლიო და ა.შ. საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე ნიმუში.

რუბრიკები. მარზანომ (Marzano) შეიმუშავა სოციალური და ემოციური კომპეტენციების პროგრესის შეფასების რუბრიკა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურ, ასევე მთლიანი კლასის კონტექსტში.

ცხრილი 12. სოციალური და ემოციური უნარების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

ქულა	აღწერა და მაგალითები
4	მოსწავლე იღებს გააზრებულ გადაწყვეტილებას გამოიყენოს სოციალური და ემოციური უნარები შესაბამის სიტუაციებში. • ესმის, რომ მისი და სხვისი აზრები შეიძლება ერთმანეთისგან გასხვავდებოდეს და მიუხედავად ამისა, პატივს სცემს განსზვავებულ პერსპექტივებს • შეუძლია საკუთარი მოსაზრებების გადაფასება
3	მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სოციალურ-ემოციურ უნარებთან დაკავშირებული უნარები. • აღიარებს სხვის პერსპექტივას, მაშინაც კი თუ მისგან გასხვავებულია • იყენებს აქტიური მოსმენის სტრატეგიას
2	მოსწავლეს აქვს გარკვეული ცოდნა სოციალური და ემოციური უნარებისა და მნიშვნელობის შესახებ. • იცის სოციალურ-ემოციურ სწავლასთან დაკავშირებული ტერმინები (მაგალითად, ემოციების მართვა, კონფლიქტის გადაჭრა, ასერტულობა)

[61] A formative, inclusive, whole-school approach to the assessment of social and emotional education in the EU, NESET
[62] Assessment practices for 21st century learning: review of evidence

1	მოსწავლეს აქვს გარკვეული მიღწევები სოციალურ და ემოციურ უნარებში, თუმცა ჯერ კიდევ საჭიროებს დახმარებას
0	დახმარების მიუხედავად, მოსწავლე ვერ ავლენს სოციალურ და ემოციურ კომპეტენციებს

პირდაპირი შეფასება. პირდაპირი მეთოდი სოციალური და ემოციური უნარების შეფასების ერთ-ერთი სანდო მეთოდია, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია მოსწავლის მიერ ამა თუ იმ უნარის გამოვლენა. პირდაპირი შეფასება შესაძლებელის კომპიუტერზე ადაპტირებულად განხორციელდეს და გამოიყენება ინდივიდუალური შეფასებისთვის და არა მთლიანი კლასის კონტექსტში. ევროსაბჭოს ფონდმა შეიმუშავა ვინეტების სერია 10 წლის ასაკის მოსწავლეებისთვის, რომელშიც წარმოდგენილია გარკვეული სიტუაცია, რომელზე დაყრდნობითაც მოსწავლე სცემს პასუხებს. ქვემოთ მოცემულია ვინეტის ერთ-ერთი ნიმუში.

ცხრილი 13. სოციალური და ემოციური უნარების პირდაპირი შეფასება ვინეტების გამოყენებით

ბექა მთელი გაკვეთილის განმავლობაში ანას დაფის საშლელ ღრუბელს ესროდა. ბოლოს ანა გაბრაზდა და უკან ესროლა. მასწავლებელი სწორედ ამ დროს შემოვიდა, ანას გაოცებულმა შეხედა და უთხრა: „მე რა გითხარით საშლელების სროლაზე? ახლავე გაჩერდი“.			
როგორ იგრძნო თავი ანამ?	ქულა	როგორ მოიქცა ანა?	ქულა
თავი სულელურად იგრძნო, რადგან მასწავლებელმა გამოიჭირა	1	მან თქვა, რომ ბექამ დაიწყო საშლელის სროლა	1
გაბრაზდა, რადგან ბექამ დაიწყო და მისი ბრალი არ იყო	2	მან თქვა, რომ ორივემ ესროლა საშლელი ერთმანეთს	2
იმედგაცრუებულია, რადგან მასწავლებელმა მას უსაყვედურა სიტუაციის გარკვევის გარეშე	3	მან სცადა აეხსნა რა მოხდა	3

სოციალური და ემოციური სწავლის კონცეპტუალური ჩარჩოების შედარებითი ანალიზი

სოციალური და ემოციური სწავლის მრავალი ჩარჩო არსებობს, რომელთაც ბევრი საერთო და ბევრი განმასხვავებელი ნიშანი აქვთ. ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ სოციალურ და ემოციურ სწავლასთან დაკავშირებული შემდეგი კონცეპტუალური ჩარჩოები:

1. სოციალური და ემოციური სწავლა (SEL- Casel)
2. სოციალური და ემოციური განათლება (SEE – EU NESET)
3. სწავლის სოციალური და ემოციური ასპექტები (SEAL - UK)
4. მენტალური კეთილდღეობის ჩარჩო “ბავშვი მნიშვნელოვანია” (Kids Matter - Australia)
5. სოციალური და ემოციური უნარები (SES - OECD)
6. 21-ე საუკუნის სწავლა (21P – Battle for Kids)
7. სიღრმისეული სწავლის უნარები 6C (6C – Fullan, Miller)

განხილული კონცეპტუალური მოდელები შესაძლებელია ერთმანეთს შევადაროთ იმის მიხედვით, თუ რომელ ძირითად სფეროზეა უპირატესად აქცენტი. ანალიზისთვის გამოყენებულია ჰარვარდის უნივერსიტეტის პლატფორმა და შედარებულია 4 ჩარჩო. აღსანიშნავია, რომ სხვა კონცეპტუალური მიდგომების შესახებ ინფორმაცია პლატფორმაზე არ არის. როგორც ვხედავთ 4 მოდელში წამყვანია სოციალური, ემოციური, ღირებულებებითი და კოგნიტური კომპეტენციები, შედარებით ნაკლები ფოკუსი იდენტობასა და პერსპექტივაზეა.

სურათი 8. სოციალური და ემოციური სწავლის 4 ჩარჩოს შედარება



დოკუმენტში განხილული მოდელების შედარება ასევე შესაძლებელია წინასწარ შემუშავებული გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით. რამდენადაც სოციალური და ემოციური სწავლის შესახებ მრავალი კონცეპტუალური ჩარჩო არსებობს, არ არის მარტივი არჩევანის გაკეთება რომელიმე ერთზე. ამავდროულად იმის მიხედვით, თუ რა მიზნით ხდება სოციალური და ემოციური სწავლის მიდგომების შერჩევა, ხშირად ამცირებს შესაძლო ალტერნატივებს. მაგალითად, მოცემულ დოკუმენტში აღწერილია ის მოდელები, რომელიც განკუთვნილია საგანმანათლებლო კონტექსტისთვის, კონკრეტულად კი ზოგადი განათლების საფეხურისთვის. ზოგიერთი მიდგომის დანერგვა შესაძლებელია როგორც ადრეული განათლების (მაგალითად, ავსტრალიის ჩარჩო, Casel-ი), ასევე ზოგადი განათლების საფეხურზე, ხოლო ზოგიერთი უშუალოდ სასკოლო ცხოვრებას და სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესს უკავშირდება (მაგ: OECD, EU).

ჩვენ მიერ განხილული 7 კონცეპტუალური ჩარჩოს შედარებითი ანალიზისთვის შემდეგი კრიტერიუმებია შემუშავებული:

1. სოციალური და ემოციური უნარების დაყოფა (რამდენ უნარს გვთავაზობს ჩარჩო?)
2. ასაკობრივი დაფარვა (რა ასაკობრივი ჭრილისთვისაა შესაბამისი?)

3. კვლევებით დადასტურებული მოსალოდნელი შედეგები (აქვს თუ არა მტკიცებულებები აკადემიური მიღწევის გაუმჯობესებასა და ქცევითი სირთულეების პრევენციასთან დაკავშირებით?)
4. მხარდამჭერი რესურსები (ხელმისაწვდომია თუ არა კონცეფციის მხარდამჭერი კონრეტული ინსტრუმენტები, პროგრამები, რესურსების ბაზა?)
5. დანერგვის ტიპი (კურიკულუმში ინტეგრირებული, დამატებითი კლასგარეშე აქტივობების და თუ ორივეს ნაზავი?)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში დოკუმენტში განხილული მოდელები შედარებულია მოცემული 5 კრიტერიუმის მიხედვით. როგორც ვხედავთ თითოეული კონცეპტუალური ჩარჩო სკოლის კონტექსტისთვის შესაბამისია, მათგან სოციალური და ემოციური სწავლების გავლენა აკადემიური მიღწევის გაუმჯობესებასა და ქცევითი სირთულეების შემცირების შესახებ კვლევებით დადასტურებულია Casel, სოციალური და ემოციური განათლებისა და OECD-ის სოციალური და ემოციური უნარების მიდგომებში.

რაც შეეხება კონტექსტს, უმეტესობის დანერგვა მოიაზრებს როგორც კურიკულუმში ინტეგრირებას, ასევე დამატებითი კლასგარეშე აქტივობებისა და პროგრამების სახით განხორციელებას. OECD-ის ჩარჩო უპირატესად შეფასებაზეა ორიენტირებული და კონკრეტული პროგრამა და აქტივობების პაკეტი არ არის ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ სოციალური და ემოციური სწავლის აქტუალობის ზრდასთან ერთად, მრავალი პროგრამა იქმნება, თუმცა სრული პაკეტი ძალზედ იშვიათადაა ხელმისაწვდომი.

ცხრილი 14. სოციალური და ემოციური სწავლის მოდელების შედარება

ჩარჩო	უნარები	ასაკი	კვლევები	რესურსი	კონტექსტი
SEL	5	2-17	აკადემიური მიღწევის გაუმჯობესება; დისციპლინის გაუმჯობესება; კრიმინალური და დელიქვენტური ქცევის პრევენცია	მრავალფეროვანი რესურსები (პროგრამები ფასიანი)	კურიკულუმში ინტეგრირებული; დამატებითი აქტივობები;
SEE	9	3-17	მეტა ანალიზით დადგენილი პოზიტიური შედეგები აკადემიურ მიღწევას, სასკოლო წარმატებასა და ქცევაზე	კონცეფციის გზამკვლევები და ანალიტიკური ანგარიშები;	კურიკულუმში ინტეგრირება, მშობელთა და მასწავლებელთა გადამზადება
SEAL	5	3-16	პროგრამების შეფასებამ ზოგ სკოლაში აჩვენა პოზიტიური გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე, ქცევის სირთულეების და ბულინგის შემცირებაზე, ზოგ სკოლაში - არა.	მრავალფეროვანი რესურსები ბლოგებისა და სტატიების სახით;	როგორც კურიკულუმში, ასევე დამატებითი კლასგარეშე აქტივობების სახით

Kids Matter	4	6-11	გაუმჯობესებული კეთილდღეობის განცდა, მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების შემცირება	კონკრეტული სცენარები პროგრამის (ფასიანი)	დამატებითი გაკვეთილების, აქტივობების სახით;
SES	6	6-17	ზოგადი კვლევებით გამტკიცებული აკადემიური წინსვლის, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ქცევითი სირთულეების შემცირების შესახებ	კვლევის ანგარიში, ჩარჩოს შესახებ დოკუმენტები	პოლიტიკის დონეზე დანერგვა, კურიკულუმსა და შეფასებაში ინტეგრიება
21 P	4	0-65	არ არის ინფორმაცია	კონცეპტუალური რესურსები;	კურიკულუმში ინტეგრიებული;
6 C	6	6-18	არ არის ინფორმაცია	არ არის ხელმისაწვდომი გარდა ჩარჩოს აღწერისა	სწავლის პროცეში, კურიკულუმში ინტეგრიებული

განხილული კონცეპტუალური მიდგომების შედარებითი ანალიზისთვის, მნიშვნელოვანია დავადგინოთ თუ რა არის ის ძირითადი უნარები, რომელიც ყველაზე მეტადაა გამოკვეთილი სხვადასხვა მოდელებში. ანალიზისთვის, პირველ რიგში შეიქმნა განხილული ჩარჩოების მიხედვით სოციალური და ემოციური კომპეტენციების აღმნიშვნელი ტერმინების სრული ჩამონათვალი, შემდგომში კი მოხდა იგივეობრივი ტერმინების სიხშირეების დათვლა. როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია შეჯამებული, დოკუმენტში განხილულ ჩარჩოებში ყველაზე ხშირად გამოყოფილი კომპეტენციები დაკავშირებულია საკუთარი თავის მართვასა და ურთიერთობის უნარებთან.

ცხრილში ასევე მკაფიოდ ჩანს, რომ სხვადასხვა თეორიულ ჩარჩოში შესაძლოა ერთსა და იმავე უნარის აღსაწერად სხვადასხვა ტერმინი იყოს გამოყენებული. მაგალითისთვის, თვითრეგულაცია შესაძლოა მოხსენიებული იყოს, როგორც საკუთარი თავის მართვა, თვით მართვა, ბრაზის მართვა და ა.შ. ტერმინი „ამოცანის შესრულება“ თვითრეგულაციის იგივეობრივი ტერმინია, რადგან OECD -ის მიხედვით მასში მოიაზრება თვითკონტროლი, მდგრადობა და პასუხისმგებლობა.

ცხრილი 15. სოციალური და ემოციური კომპეტენციების აღმნიშვნელი ტერმინები სხვადასხვა მოდელებში

სოც-ემოციური კომპეტენციები	მიმოხილულ ჩარჩოებში გამოყენებული ტერმინები	რ.ბა
საკუთარი ემოციების, აზრების, ქცევის მართვა	თვითრეგულაცია თვითრეგულაცია საკუთარი თავის მართვა ქცევის მართვა ინიციატივა და თვითმართვა ემოციური რეგულაცია ბრაზის მართვა ამოცანის შესრულება	8

ჯანსაღი, კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბება	ურთიერთობის უნარები თანამშრომლობა კომუნიკაცია და კოლაბორაცია კოლაბორაცია კომუნიკაცია სოციალური მენეჯმენტი სოციალური განვითარება სოციალური უნარები	8
საკუთარი შესაძლებლობების, ფიქრების, აზრების, ემოციების გაცნობიერება	თვითშემეცნება თვითცნობიერება თვითშემეცნება ემოციური განვითარება	4
სოციალური ნორმების, სოციალური მრავალფეროვნების გაგება	სოციალური ცნობიერება სოციალური ცნობიერება სოციალური და კულტურული უნარები მოქალაქეობა	4
მიმოხილული ჩარჩოების კომპეტენციების აღმნიშვნელი განსხვავებული, ცალკეული ტერმინები	პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების მიღება კრიტიკული აზროვნება მოტივაცია ემპათია სეპარაცია მედეგობა კონფლიქტის გადაჭრა ღიაობა ჩართულობა შემოქმედებითობა და ინოვაციურობა მოქნილობა და ადაპტურობა ლიდერობა და პასუხისმგებლობა ხასიათი კრეატიულობა	19

ქვემოთ მოცემული ცხრილი (N16) გვიჩვენებს, თუ რამდენადაა აქცენტი გაკეთებული გამოყოფილ ძირითად კომპეტენციებზე სხვადასხვა მოდელში. როგორც ვხედავთ, ურთიერთობის უნარები ყველა ჩვენ მიერ განხილული კონცეპტუალური ჩარჩოს ნაწილია, ასევე სოციალური და ემოციური სწავლის მოდელებისთვის საერთო კომპეტენციაა თვითცნობიერება და თვითრეგულაცია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული 3 კომპეტენცია სოციალური და ემოციური სწავლის ძირითადი, საყრდენი მიმართულებებია, რომელზეც ფოკუსირება სწავლა-სწავლების პროცესში ცენტრალურ როლს უნდა იკავებდეს.

ცხრილი 16. ძირითადი კომპეტენციების კავშირი სხვადასხვა მოდელებთან

კომპეტენციები	SEL	SEE	SEAL	KidsMatt	SES	21 P	6 C
თვითცნობიერება							
თვითრეგულაცია							
სოციალური ცნობიერება							
ურთიერთობის უნარები							

გადაწყვეტილების მიღება		*					
მოტივაცია							
ემპათია	*			*			
მედეგობა							
კონფლიქტის გადაჭრა	*	*	*				
ღიაობა	*						
პრობლემის გადაჭრა	*	*		*			
მოქნილობა და ადაპტურობა							
ლიდერობა							
კრეატიულობა							
კრიტიკული აზროვნება		*					

ჩარჩოში მკაფიოდაა გამოყოფილი კომპეტენცია

* ჩარჩოში კომპეტენცია გამოყოფილია ქვეუნარის სახით

ჩარჩო ნაწილობრივ დაკავშირებულია კომპეტენციასთან

როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ საგანმანათლებლო კონტექსტში სოციალური და ემოციური უნარების განვითარების მნიშვნელობა უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ახალი თაობის კურიკულუმი გარკვეულწილად ფარავს ევროკავშირის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ძირითად კომპეტენციებს. თუმცა შედარებით ახალია პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენცია, შესაბამისად არ არის ისე მკაფიოდ აღწერილი და ახსნილი, როგორც სხვა კომპეტენციები, მაგალითად წიგნიერება და მეწარმეობა.[63]

შეჯამების სახით, შეგვიძლია დავასკვნათ:

- სოციალური და ემოციური სწავლის სხვადასხვა მოდელებში არსებული საერთო კომპეტენციები დაკავშირებულია: (ა) სოციალურ კომპეტენციებთან - ურთიერთობის უნარები და სოციალური ცნობიერება (ბ) ემოციურ კომპეტენციებთან - თვითცნობიერება და თვითრეგულაცია;
- მოდელების დიდი ნაწილი სოციალური და ემოციური სწავლის დანერგვისას ყურადღებას ამახვილებს სოციალური და ემოციური უნარების კურიკულუმში ინტეგრირებასა და დანერგვის უნივერსალურ დონეზე;
- სოციალური და ემოციური სწავლა მოიაზრებს ცოდნის, ღირებულებებისა და უნარების ერთობლიობას;
- მესამე თაობის კურიკულუმში ასახული გამჭოლი კომპეტენციები და ფუნქციური უნარები დაკავშირებულია სოციალურ ემოციურ სწავლის გარკვეულ კომპეტენციებთან, ნაკლებადაა წარმოდგენილი ემოციური უნარები, როგორიცაა თვითცნობიერება, ემოციების აღქმა და თვითრეგულაცია.

[63] Andguladze N. (2020) Support to Public Administration Reform in Georgia, Policy Review on Key Competence Development in Georgia

სოციალური და ემოციური უნარები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში

ქვემოთ მოცემულ თავში გაანალიზებულია სოციალური და ემოციური სწავლის მნიშვნელობა საქართველოს საგანმანათლებლო კონტექსტში განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები წარმოადგენს იმ ძირითად დოკუმენტს, რომელზე დაყრდნობითაც მუშავდება განათლების სისტემაში არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიხედვით, ზოგადი განათლების სისტემის მიზანია შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სისტემამ მოსწავლეს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები უნდა განუვითაროს და მისცეს საჭირო ცოდნა.[64] აღსანიშნავია, რომ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში ექსპლიციტურად არ არის გამოკვეთილი მოსწავლის ჰოლიტური განვითარება - ჩანაწერში გონებრივ და ფიზიკურ განვითარებასთან ერთად ფოკუსი სოციალურ და ემოციურ კომპეტენციებზე არ კეთდება. ცხადია, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები თავის თავში მოიაზრებს და მოითხოვს განვითარებულ სოციალურ და ემოციურ უნარებს, თუმცა კვლევები და ლიტერატურა ხაზს უსვამს მკაფიო და პირდაპირი ტერმინების დამკვიდრების მნიშვნელობას პოლიტიკის დოკუმენტებში.

ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში სოციალური და ემოციური უნარების ხელშეწყობის მნიშვნელობა აღნიშნულია დაწყებითი საფეხურის მისიაში, რომელშიც ვკითხულობთ, რომ: „დაწყებითი საფეხურის მისიაა: ა) საგანთა თანმიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა“. გარდა ამისა, დოკუმენტში აღწერილია სწავლა-სწავლების შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები: [65]

1. პრობლემის გადაჭრა
2. კრიტიკული აზროვნება
3. შემოქმედებითი აზროვნება
4. თანამშრომლობა
5. კომუნიკაცია
6. ეთიკა
7. მეწარმეობა, ინიციატივის გამოვლენა და საქმედ ქცევა

[64] ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
[65] კარი I - სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები

8. დროსა და სივრცეში ორიენტირება
9. კვლევა
10. სწავლის სწავლა
11. პასუხისმგებლობა
12. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება
13. წიგნიერება

ჩამოთვლილი გამჭოლი უნარები შეგვიძლია დავაკავშიროთ როგორც 21-ე საუკუნის სწავლის კონცეპტუალური ჩარჩოს კომპეტენციებთან, ასევე ჩვენ მიერ განხილულ Casel-ის ემოციურ უნარებთან (სოციალური ცნობიერება, გადაწყვეტილების მიღება). ამავდროულად, გამჭოლ უნარებში ნაკლებად არის მკაფიო აქცენტი ემოციურ კომპეტენციებზე (ემოციების მართვა, თვითცნობიერება, იმპულსის კონტროლი, თვითრეგულაცია).

განათლების და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა პოლიტიკის დოკუმენტი,[66] რომელშიც შემოთავაზებულია სოციო-ემოციური სწავლის კონცეპტუალური ხედვის ჩარჩო და რეკომენდაციები. ჩარჩო ჩვენ მიერ განხილულ ფულანის 6C მოდელს ეყრდნობა. ამავდროულად, დოკუმენტში ფულანის მიერ გამოყოფილი უნარები დაკავშირებულია სოციალური და ემოციური სწავლების Casel -ისეულ კლასიფიკაციასთან. პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სოციალური და ემოციური სწავლის ინტეგრირება საგანმანათლებლო სისტემაში რამდენიმე შესაძლო გზით განიხილება:

- სადამრიგებლო საათში ინტეგრიება;
- თავისუფალი/არჩევითი სახის გაკვეთილების შეთავაზება მოსწავლეებისთვის;
- განათლების არაფორმალური მეთოდების პრაქტიკები (კლუბი, წრე);
- საგნობრივ კურიკულუმში პროგრამისა და მოდულის ელემენტების ინტეგრირება;
- სხვა მექანიზმები, რომელიც სკოლის მიერ შემუშავდება.

მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტისა და სოციო-ემოციური სწავლის გზამკვლევის მიხედვით შემუშავებული კონცეფცია ჯერჯერობით არ არის ასახული ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, თუმცა ასახულია ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში შემუშავებულ საგნობრივ გზამკვლევებში.[67] გზამკვლევში 6C უნარები მოხსენიებულია როგორც ფუნქციური/კომპონენტური უნარები. იგივე 6C უნარები სამინისტროს პოლიტიკის დოკუმენტსა და გზამკვლევში მოხსენიებულია, როგორც - გლობალური კომპეტენციები.

[66] დოკუმენტი მოწოდებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ
[67] საგნობრივი გზამკვლევები, ზოგადი განათლების რეფორმა

სოციალურ-ემოციური განათლების ინიციატივების დანერგვის რეკომენდაციები

დოკუმენტში განხილული კვლევების, სოციალური და ემოციური სწავლის სხვადასხვა კონცეპტუალური ჩარჩოს შედარებითი ანალიზისა და საქართველოს საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინებით, გთავაზობთ რეკომენდაციებს. აღნიშნული რეკომენდაციები საფუძვლად დაედება სკოლა-ლაბის პროექტის ფარგლებში სასწავლო დანაკარგების აღმოფხვრის კონტექსტში სოციალური და ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობის აქტივობებს.

რეკომენდაციებში შემოთავაზებულია სოციალური ემოციური სწავლების დანერგვის ჩარჩო, რომელიც მოიცავს ტერმინების ოპერაციონალიზაციას, სამიზნე კომპეტენციების განსაზღვრას და დანერგვის დონეების/ მიდგომების იდენტიფიცირებას.

ტერმინოლოგია

ლიტერატურაში მრავალი ტერმინი არსებობს, რომელიც აღწერს სოციალური და ემოციური უნარების ხელშეწყობის პროცესს განათლებაში. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელწოდებაა „სოციალური და ემოციური სწავლა“ (Social and Emotional Learning - SEL). განმარტების მიხედვით სოციალური და ემოციური სწავლა არის პროცესი, რომლის დროსაც ბავშვი და ზრდასრული იძენს და იყენებს ისეთ ცოდნას, დამოკიდებულებებსა და უნარებს, რომელიც საჭიროა ემოციების გაგებისა და მართვისთვის, მიზნების დასახვისა და მიღწევისთვის, ემპათიური და პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისთვის. სოციალური და ემოციური სწავლა საკმაოდ ფართო კონცეფცია, რომელშიც მოაიზრება ნებისმიერი ინდივიდი, ხოლო სოციალური და ემოციური უნარების შეძენა დაკავშირებულია სხვადასხვა კონტექსტთან, როგორიცაა სკოლა, ოჯახი, თემი, საზოგადოება. ტერმინი „სოციალური და ემოციური“ უნარები, ზოგჯერ გამოიყენება SEL-ის ნაცვლად, ხოლო ზოგჯერ განიხილება როგორც SEL-ის შედეგი. OECD აღნიშნული ტერმინის შინაარსს ავიწროებს და აქცენტს აკეთებს ინდივიდის უნარზე, რომელიც გამოიხატება გარკვეული კონსისტენტური ფიქრების, შეგრძნებებისა და ქცევის სახით. თავად ტერმინის „უნარი“ გამოყენება მიუთითებს გარემოებაზე, რომ სოციალური და ემოციური უნარები განვითარებადი და დასწავლადია. აღსანიშნია, რომ სოციალური და ემოციური სწავლის კონტექსტში ხშირად გამოიყენება ტერმინი „კომპეტენცია“, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ცოდნას, დამოკიდებულებასა და უნარს. სოციალური და ემოციური სწავლის ალტერნატიული ევროპული სახელწოდება არის „სოციალური და ემოციური განათლება“, რომელიც ფოკუსირდება საგანმანათლებლო კონტექსტზე და განათლების გზით სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებაზე.

მოცემული დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია შეთანხმებული ტერმინების გამოყენება და მათი ოპერაციონალიზაცია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ძირითადი ტერმინების გამოყენების ძლიერი და სუსტი მხარეები სკოლა-ლაბის პროექტის მიზნების შესაბამისად.

ტერმინები	ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
სოციალური და ემოციური სწავლა	ტერმინი საკმაოდ გავრცელებულია საერთაშორისო ლიტერატურაში, მკაფიოა კავშირი სწავლის პროცესთან.	უმეტესად აშშ-შია გავრცელებული, რაც შესაძლოა ქმნიდეს კულტურასთან შეუსაბამობის რისკებს. ტერმინი უფრო მეტად რელევანტურია სოციალური და ემოციური უნარების მრავალ დონეზე, სხვადასხვა კონტექსტში დანერგვისას.
სოციალური და ემოციური განათლება	ტერმინი გავრცელებულია და გამოიყენება ევროპის ქვეყნებში. კავშირშია ევროკავშირის გამჭოლ კომპეტენციებთან. მკაფიოა ტერმინის რელევანტურობა საგანმანათლებლო კონტექსტთან.	კვლევები და ლიტერატურა სოციალური და ემოციური განათლების ევროპულ ჩარჩოზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სოციალურ და ემოციურ სწავლაზე (SEL).
სოციალური და ემოციური უნარები	ტერმინი სპეციფიკურია და მკაფიოა. შეფასება მარტივადაა შესაძლებელი.	ტერმინის ვიწრო გაგებით იგნორირებულია ცოდნა და დამოკიდებულებები.
სოციალური და ემოციური კომპეტენციები	ტერმინი კომპეტენცია აერთიანებს SEL-ის ვიდრე მნიშვნელოვან განზომილებას: ცოდნას, დამოკიდებულებას და უნარს (კოგნიტური, აფერქტური და ქცევითი სფეროები).	რადგან კომპეტენცია უფრო მეტად კომპლექსური ტერმინია, ვიდრე „უნარი“, შესაძლებელია რთული იყოს დროის გარკვეულ პერიოდში მოსწავლეებში გარკვეული კომპეტენციების განვითარება და შეფასება.

სკოლა-ლაბის პროექტის ფარგლებში, საბაზო საფეხურის მოსწავლეებში სასწავლო დანაკარგების აღმოფხვრის კონტექსტში სოციალური და ემოციური უნარების ხელშეწყობის ჩარჩოსთვის რეკომენდებულია გამოვიყენოთ შემდეგი ტერმინები:

1. სოციალური და ემოციური განათლება - ზოგადსაგანმანათლებლო კონტექსტში მოსწავლეთა არააკადემიური უნარების მხარდაჭერისა და მოსწავლის ჰოლისტური განვითარების აღსაწერად;
2. სოციალური და ემოციური კომპეტენციები - სოციალური და ემოციური განათლების ის მნიშვნელოვანი, საკვანძო მიზნები, რომელსაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ ცოდნის, დამოკიდებულებებისა და უნარების გამომუშავების გზით;
3. სოციალური და ემოციური უნარები - კონკრეტული და სპეფიციფიკური უნარები, რომელიც წარმოადგენს კომპეტენციის ნაწილს.

ტერმინების ურთიერთმიმართება ილუსტრირებულია ქვემოთ მოცემულ სურათზე. სოციალური და ემოციური განათლება ყველაზე ფართო ტერმინს წარმოადგენს, რომლის მიზანიც მოსწავლეებში სოციალური და ემოციური კომპეტენციების გამომუშავებაა. კომპეტენციები კი თავის მხრივ მოიცავს გარკვეულ კონკრეტულ, სპეციფიკურ უნარებს.

სოციალური და ემოციური სწავლის კომპეტენციები

საერთაშორისო ლიტერატურისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, სოციალური და ემოციური განათლების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს ძირითად, საკვანძო კომპეტენციებზე, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა მოდელების საერთო მახასიათებელს:

1. ურთიერთობა (კომუნიკაცია თანატოლებთან და ზრდასრულებთან, თანამშრომლობა და კონფლიქტების გადაჭრა);
2. თვითრეგულაცია (საკუთარი თავის კონტროლი, ქცევის მართვა, ემოციური რეგულაცია).
3. თვითცნობიერება (საკუთარი თავის, ძლიერი მხარეების, ლიმიტებისა და ემოციების გაცნობიერება);

გამოყოფილი 3 კომპეტენცია და მასთან დაკავშირებული სპეციფიკური უნარები დაკავშირებულია მენტალური კეთილდღეობის, აკადემიური წინსვლისა და სასკოლო დისციპლინის შენარჩუნებასთან. აღსანიშნავია, რომ ურთიერთობისა და თვითრეგულაციის მნიშვნელობა ხაზგასმულია ეროვნულ კურიკულუმში, თუმცა ემოციურ ცნობიერებაზე ფოკუსი ნაკლებადაა წარმოდგენილი.

დანერგვა

სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება განათლების განუყოფელი ნაწილია. როგორც ლიტერატურის მიმოხილვაშია შემოთავაზებული სოციალური და ემოციური განათლება შესაძლოა ინტეგრირებული იყოს ეროვნულ სტანდარტებსა და სასკოლო კურიკულუმებში, ასევე არსებობდეს დამოუკიდებელი პროგრამების სახით.

მოცემულ დოკუმენტში შემოთავაზებული რეკომენდაციების მიზანია სოციალური და ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობა სასწავლო დანაკარგების აღმოფხვრის კონტექსტში საბაზო საფეხურზე. პროექტის მიზნებიდან გამომდინარე სოციალური და ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობის დანერგვისთვის რეკომენდებულია:

1. **სოციალური და ემოციური განათლების დანერგვა უნივერსალურ დონეზე.** სოციალური და ემოციური სწავლის დანერგვის ჩარჩოები გვთავაზობს მრავალშრიან, 3 დონიან იმპლემენტაციის ჩარჩოს (იხ. სურათი 10), რომელიც ლიტერატურაში პირამიდის მოდელის სახელწოდებითაა ცნობილი. პირამიდის მოდელი გამოყოფს დანერგვის უნივერსალურ, მიზნობრივ და ინტენსიურ დონეებს. უნივერსალური დონეზე დანერგვა ასევე წარმოადგენს სოციალური და ემოციური სწავლის განმავითარებელი შეფასების ევროპული ჩარჩოს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. მიზანმიმართული და ინტენსიური ინტერვენციების განხორციელებამდე, მნიშვნელოვანია სკოლებში სოციალური და ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობა უნივერსალურ დონეზე განხორციელდეს, რაც ორიენტირებული იქნება ყველა მოსწავლეზე.

სურათი 10. სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის დონეები

2. **სოციალური და ემოციური განათლების დანერგვისას მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების გამოყენება.** სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებისას მასწავლებელი ახორციელებს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს და უწყვეტ შეფასებას, რომელიც არის არაგანსჯითი და აღწერითი. სოციალური და ემოციური განათლების კონტექსტში გამოყენებული განმავითარებელი შეფასების მეთოდები შეიძლება იყოს: რუბრიკები, კითხვარები, თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება, ჩეკლისტები, უკუკავშირი და ა.შ.
3. **სოციალური და ემოციური განათლების დანერგვა უნდა მოხდეს SAFE სტრატეგიის მიხედვით,** რაც გულისხმობს სოციალური და ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობას საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას. მასწავლებელი იყენებს სწავლა-სწავლების აქტიურ მეთოდებს, ფოკუსირებულია არა ერთდროულად ყველა, არამედ კონკრეტული უნარის განვითარებაზე და მის მიერ შეთავაზებული აქტივობები მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების შესაბამისია.